

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ალექსანდრე პეტროსიანი

ელექტრონული ვაჭრობის პროგრამული უზრუნველყოფის
შემუშავება და გამოყენება (შპს “აპრიკოტ სოფთვეარ” - ის
მაგალითზე)

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
ნაშრომი შესრულებულია ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ენვერ ლაგვილავა

თბილისი 2019

ანოტაცია

თემის აქტუალობა. საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება თანამედროვე საზოგადოებაში ახდენს მრავალი პროცესის ტრანსფორმაციას. არ არის გამონაკლისი ბიზნესის სფეროც. ინტერნეტმა, როგორც უფრო ხელმისაწვდომმა და კომფორტულმა სისტემამ, ინფორმაციის მომხმარებლებს შორის გლობალურ გაცვლასთან ერთად დაიწყო კომუნიკაციის სხვა მეთოდებისა და არხების გამოდევნა.

ინტერნეტი, როგორც ცნობილია წარმოადგენს ურთიერთობის ახალ გარემოს. ჩვეულებრივ ფირმას, რომელიც ბაზარს სთავაზობს საქონელსა და მომსახურებას, შეუძლია მისი გამოყენება როგორც ბიზნეს საქმიანობის ახალი ტიპი კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის ასამაღლებლად, სარეკლამო ინფორმაციის გასავრცელებლად, განაწილების არხის ნაცვლად მარკეტინგული ინფორმაციის მისაღებად, სუბიექტების ინტერაქტიული ურთიერთქმედებით.

კვლევის მიზანი. მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ელექტრონული ვაჭრობის სფეროში პროგრამული უზრუნველყოფის არსებული ტექნოლოგიების კვლევა, ასევე, შპს „აპრიკოტ სოფთვეარ“-ში ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიის გაუმჯობესება და გამოყენება.

კვლევის საგანს წარმოადგენს ელექტრონული ვაჭრობის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისა და გამოყენების პროცესების შესწავლა და ანალიზი.

კვლევის ობიექტს წარმოადგენს შპს „აპრიკოტ სოფთვეარ“.

ნაშრომში წარმოდგენილია შპს „აპრიკოტ სოფთვეარ“-ის მიერ შემუშავებული ვებ-სერვისის რეალიზაცია მარტივი საიტის შექმნისა და მისი სერვერთან მიბმის სახით.

Annotation

Actuality of the topic. In the modern society the rapid development of communication technologies is doing the transformation of many processes. Business sector is not exception either. The Internet, like the more affordable and comfortable system, started to expel different methods and ways together with the globally exchange information between users.

The Internet, as known, is a new environment for communication. A usual enterprise that offers goods and services to the market can use it as a new type of business activity to promote competitiveness and sustainability, instead of distribution channel, to obtain marketing information by the formation of the interactive interaction of subjects.

The reason of the research. The purpose of this theme is to consider the essence of electronic trade and the existing technologies, also, acquisition of technologies developed by us in LLC "Apricot Software", using and comparing it with other market decisions.

The subject of the research is the study and analysis of the e-commerce process by developing required software.

The object of the research is LLC "Apricot Software".

The realization of a web-service developed by LLC "Apricot Software" by creating simple website creation and attaching it to the server is presented in the theme.

სარჩევი

შესავალი.....	1
თავი 1. ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი ასპექტების დახასიათება	3
1.1. ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ვაჭრობა.....	3
1.2. განსხვავება ტრადიციულ და ელექტრონულ ვაჭრობას შორის.....	12
1.3. ელექტრონული ვაჭრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	17
თავი 2. ელექტრონული ვაჭრობის არსებული მდგომარეობა მსოფლიოსა და საქართველოს მასშტაბით	24
2.1. ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები	24
2.2. ელექტრონული ვაჭრობის არსებული ტექნოლოგიების შედარება	32
2.3. შპს „აპრიკოტ სოფთვეარ“-ის აღწერა	36
თავი 3. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და დანერგვა	40
3.1. პროგრამული გარემოს მომზადება (სერვერის გამართვა და საიტის აწყობა).....	40
3.2. შემუშავებული სისტემის რეალიზაცია.....	55
3.3. უწყისების აწყობა და ანალიზი.....	57
3.4. კითხვარის შედგენა, ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი	68
დასკვნა	76
გამოყენებული ლიტერატურა	77
დანართები	80

შესავალი

დღეს კომპიუტერული და ქსელური ტექნოლოგიები თამაშობენ სულ უფრო დიდ როლს საქმიანობის სხვადასხვა სფეროში. ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვის პროცესები გავლენას ახდენს როგორც ცალკეული საწარმოს საქმიანობის ყველა სფეროზე, ასევე მთლიან ეკონომიკაზეც. ინტერნეტის ქსელური რესურსების ორგანიზების ყველაზე თანამედროვე ინსტრუმენტების შემუშავების წყალობით სხვადასხვა წარმოებებს გაუჩნდა განვითარების ახალი შესაძლებლობები.

საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარება თანამედროვე საზოგადოებაში ახდენს მრავალი პროცესის ტრანსფორმაციას. არ არის გამონაკლისი ბიზნესის სფეროც. ინტერნეტმა, როგორც უფრო ხელმისაწვდომმა და კომფორტულმა სისტემამ, ინფორმაციის მომხმარებლებს შორის გლობალურ გაცვლასთან ერთად დაიწყო კომუნიკაციის სხვა მეთოდებისა და არხების გამოდევნა. ეს ხდება მომსახურების ღირებულების შემცირების და მონაცემთა უფრო მაღალი სიჩქარით გადაცემის გამო, ასევე ფართოვდება გადასაცემი ინფორმაციის სპექტრი.

ინტერნეტი, როგორც ცნობილია წარმოადგენს ურთიერთობის ახალ გარემოს, ჩვეულებრივ ფორმას, რომელიც ბაზარს სთავაზობს საქონელსა და მომსახურებას, შეუძლია მისი გამოყენება როგორც ბიზნეს საქმიანობის ახალი ტიპი კონკურენტუნარიანობისა და მდგრადობის ასამაღლებლად ასევე სარეკლამო ინფორმაციის გასავრცელებლად, განაწილების არხის ნაცვლად მარკეტინგული ინფორმაციის მისაღებად, სუბიექტების ინტერაქტიული ურთიერთქმედებით.

ინტერნეტის გლობალური განვითარება შეეხო საწარმოების, როგორც კომერციულ, ასევე მარკეტინგის სისტემის ელემენტს - სარეკლამო საქმიანობას. მან მიიღო თავისი განვითარების ახალი, პერსპექტიული მიმართულება, რომელსაც აქვს ინტერნეტის გამოყენების ბევრი დადებითი მხარე.

აქტუალურია საკითხი ელექტრონული კომერციის სისტემის ორგანიზებისა, და კერძოდ ინტერნეტით ვაჭრობის. ელექტრონული კომერცია წარმოადგენს ინტერნეტის გამოყენების დინამიურად განვითარებად მიმართულებას რომელიც, თავის მხრივ

წარმოადგენს ინფორმაციული არხების გავრცელების ტრადიციული გზების და ბიზნესის მართვის ფორმების ალტერნატივას.

კვლევის მიზანი. მოცემული სამაგისტრო ნაშრომის მიზანს წარმოადგენს ელექტრონული ვაჭრობის სფეროში პროგრამული უზრუნველყოფის არსებული ტექნოლოგიების კვლევა, ასევე, შპს „აპრიკოტ სოფთვეარ“-ში ჩვენს მიერ შემუშავებული ტექნოლოგიის გაუმჯობესება და გამოყენება.

მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები:

- ელექტრონული ბიზნესის, ელექტრონული კომერციისა და ელექტრონული ვაჭრობის ცნებებს შორის მსგავსება და განსხვავება;
- ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარების ტენდენციები ელექტრონულ ბიზნესსა და ელექტრონულ კომერციაში;
- ტრადიციული მაღაზიისა და ინტერნეტ-მაღაზიის დადებითი და უარყოფითი მხარეების გამოვლენა;
- ბაზარზე არსებული ინტერნეტ-მაღაზიების შექმნის ტექნოლოგიების შესწავლა და შედარება;
- ინტერნეტ მაღაზიის შექმნისთვის შემოთავაზებული გადაწყვეტილების განხილვა და არსებულებთან შედარებით დადებითი მხარეების გამოვლენა.

თავი 1. ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი ასპექტების დახასიათება

1.1. ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ვაჭრობა

ხშირად ხდება ისეთი საბაზისო ტერმინების ერთმანეთში არევა, როგორებიცაა *ელექტრონული ბიზნესი, ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ვაჭრობა*. განვმარტოთ და განვიხილოთ თითოეული მათგანი.

არსებობს ელექტრონული ბიზნესის უამრავი განმარტება, რომელიც მოიცავს საკითხის სხვადასხვა კუთხიდან განხილვას, ამ განმარტებებზე ავტორების გამოცდილებას და შესაბამის პროფესიონალურ მომზადებას. ზოგადად, ელექტრონული ბიზნესი არის კომპანიის (ფირმის, ორგანიზაციის) განვითარების ერთ-ერთი მიმართულება, რომლის დროსაც კომპანიის საქმიანობის გარკვეული ნაწილი ხორციელდება ელექტრონული ფორმით (ამ შემთხვევაში ძირითად ამოცანას წარმოადგენს კლიენტების ბაზის გაფართოება, სამუშაოების ეფექტიანობის გაზრდა, შემოსავლების ზრდა და ა. შ).

თავიდან ეს პროცესი დაიწყო ფირმის ვებ-გვერდის გახსნით, რომელზეც ასახული იყო ფირმის საქმიანობის სახეები, ინფორმაცია ფირმის მიერ შემოთავაზებული საქონლის, მომსახურებისა და ფასების შესახებ. დღეს უკვე იშვიათად ნახავთ ფირმას, კომპანიას ან ორგანიზაციას, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი საიტი, რომლის დახმარებითაც მას შესაძლებლობა აქვს განახორციელოს საქონლის ან მოსახურების ყიდვა-გაყიდვა.¹

კომპანია IBM-ის სპეციალისტების თქმით ელექტრონული ბიზნესი არის ნებისმიერი საქმიანობის გააქტიურება, რომლის დროსაც შიდა და გარე სამყაროსთან კომუნიკაციის გარდაქმნა წარმოებს გლობალური ქსელის დახმარებით შემოსავლის მიღების მიზნით.

ელექტრონულ ბიზნესს მიეკუთვნება ბიზნესი ვალუტის, ფასიანი ქაღალდების, სასაქონლო და ძვირფასი ლითონების ბაზრებზე:

¹ მ. მაღრაძე „ინფორმაციული მენეჯმენტი“, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2017

1. **მსოფლიო სავალუტო (ფინანსურ) ბაზრებზე (FOREX - Foreign Exchange Market) ტრეიდერად მუშაობა.** მსოფლიო სავალუტო ბაზარი არის საინფორმაციო ტექნოლოგიების საშუალებით ურთიერთდაკავშირებული რეგიონული სავალუტო ბაზრების სისტემა. საქმიანობა საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე წარმოადგენს უცხოური ვალუტის სხვადასხვა სახის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციების ერთობლიობას. სავაჭრო ოპერაციების საიდუმლო იმაშია, რომ იყიდონ იაფად და გაყიდონ ძვირად.
2. **Online აუქციონები (ინტერნეტ-აუქციონი).** Ebay-ს საერთაშორისო აუქციონზე საქმიანობა როგორც მყიდველის, ისე გამყიდველის რანგში. აუქციონი Ebay - ეს ის ადგილია, სადაც შეგიძლიათ სარფიანად შეიძინოთ თქვენთვის საჭირო საქონელი საკუთარი ბიზნესის საწარმოებლად.
3. **ბიზნესი ინვესტიციებზე.** ეს არის ფულის დაბანდება პროცენტებით. ინტერნეტში უამრავი საინვესტიციო ფონდია განლაგებული, რომელიც შემოგთავაზებთ ფულად სესხებს დადგენილი პროცენტითა და გარკვეული ვადით. ელექტრონული ბიზნესის ძირითად სახეებს, რომლებსაც ნამდვილად

შემოსავალი მოაქვთ, მიეკუთვნება:

- ელექტრონული კომერცია;
- ელექტრონული აუქციონები;
- ელექტრონული ბანკები;
- ელექტრონული მანიშნებელები;
- ელექტრონული კაზინო;
- ელექტრონული ფრანჩაიზინგი;
- ელექტრონული სწავლება;
- ელექტრონული მარკეტინგი;
- ელექტრონული საბროკერო მომსახურებები;
- ოპერაციული რესურსების ელექტრონული მენეჯმენტი;
- მიწოდებების ელექტრონული მენეჯმენტი.²

² А. В. Дёмина «Электронный бизнес» , Саратов, 2015

21-ე საუკუნეში დაიწყო ელექტრონული ინდუსტრიის სწრაფი ტემპებით განვითარება. იწყება „ჭკვიანი“ კომპონენტების დანერგვა, ტრადიციული ტექნოლოგიების უახლესი კომპიუტერული ტექნოლოგიებით აღჭურვა. ეკონომიკის ყველა დარგის მნიშვნელოვანი განვითარება ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვის შედეგია. თუმცა ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვანაირად მიმდინარეობს და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგის მდგომარეობა კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკაში გვევლინება მისი ეკონომიკური განვითარების წარმატებულ ინდიკატორად.

ელექტრონული მრეწველობა მოიცავს როგორც წარმოების კომპლექსებს, რომლებიც აწარმოებენ ჩიპებსა და სხვა მაკომპლექტებლებს რთული მოწყობილობებისთვის, ისე ეკონომიკის იმ სფეროებს, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ელექტრონული სისტემების განვითარების დამსახურებით.³

იმის წყალობით, რომ ინტერნეტის ქსელს ყოველდღიურად სულ უფრო მეტი და მეტი ადამიანი ერთვებოდა, ბიძგი მიეცა ისეთი მიმართულების შექმნასა და განვითარებას, როგორცაა ელექტრონული კომერცია.

ელექტრონული კომერცია არის ინდუსტრიის ტიპი, სადაც პროდუქტებისა და მომსახურების ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება ელექტრონული საშუალებების მეშვეობით, როგორებიცაა ინტერნეტი და სხვა კომპიუტერული ქსელები. ელექტრონული კომერცია დაფუძნებულია: მობილურ კომერციაზე, საშუალებების ელექტრონულ გადაცემაზე, ჯაჭვური მენეჯმენტის უზრუნველყოფაზე, ინტერნეტ მარკეტინგზე, ტრანზაქციის ონლაინ პროცესებზე, ელექტრონული მონაცემების გაცვლაზე (EDI) და ინვენტარის მენეჯმენტის სისტემებზე. თანამედროვე ელექტრონული კომერცია ჩვეულებრივ იყენებს მსოფლიო ქსელს (World Wide Web) ყველაზე მცირე შეთანხმების ციკლის ერთ სტადიაზე, თუმცა მან შეიძლება მოიცვას უფრო ფართო ტექნოლოგიების სპექტრი, როგორებიცაა: ელ.ფოსტა, მობილური მოწყობილობები, სოციალური მედია და აგრეთვე ტელეფონები.

ელექტრონული კომერცია, როგორც წესი, გამოიყენება ელექტრონული ბიზნესის ასპექტებად გაყიდვების კუთხით. ის ასევე მოიცავს მონაცემების გაცვლას, რომლებიც

³ О. А. Кобелев «Электронная коммерция», Москва, 2010

აადვილებენ ბიზნესის ტრანზაქციების ფინანსებისა და გადახდის ასპექტებს. ეს არის ეფექტური კომუნიკაციის გამართლებული გზა ბიზნეს ორგანიზაციებს შორის და ყველაზე ხელსაყრელია ამ გზით ბიზნესის წარმართვა.

ელექტრონული კომერცია შესაძლებელია დაიყოს:


- ელექტრონულ კატალოგებად ანუ „ვირტუალურ თაროებად», რომლებიც განთავსებულია ვებ-გვერდებზე ონლაინ კატალოგების სახით, ხშირად გვევლინება ელ.ფოსტებზე რეკლამის სახით;
- ყიდვა და გაყიდვა სხვადასხვა საიტებზე ან სხვადასხვა ვირტუალურ ბაზრებზე;
- დემოგრაფიული მონაცემების შეგროვება და გამოყენება სოციალური მედიისა და სოციალური ქსელების გამოყენებით;
- ელექტრონული მონაცემების გაცვლა (EDI), ბიზნესის ბიზნესზე (B2B) მონაცემების გაცვლა;
- ელ.ფოსტისა და ფაქსის გამოყენება, როგორც მასობრივი მედიის საშუალები, რათა მიღწეულ იქნეს სასარგებლო და პერსპექტიული ურთიერთობები კლიენტებთან (მაგალითად, Newsletters);
- ბიზნეს ოპერაციების (ტრანზაქციების უსაფრთხოება).⁴

თანამედროვე კომერციას ტრადიციული ვაჭრობისაგან განასხვავებს ის, რომ ეს არაა უბრალოდ საქონელბრუნვა შესრულებული მწარმოებლების ან მომხმარებლების მიმდინარე მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ეს არის მთელი რიგი ღონისძიებების უწყვეტი კომპლექსი, რომელიც სრულდება კომერციული პროცესის სხვადასხვა ეტაპებზე, (სურ. 1.1.1):

- საქონელსა და მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნილების კვლევა - **მარკეტინგი**
- საქონლისა და მომსახურების თვისებების მართვა - **საწარმოო მენეჯმენტი**
- საქონლისა და მომსახურების თვისებების შესახებ ბაზრის ინფორმირება - **რეკლამა**
- ბაზრის მომზადება საქონლისა და მომსახურების მოცემული თვისებების გამოსაყენებლად - **პროპაგანდა**

⁴ https://ka.wikipedia.org/wiki/ელექტრონული_კომერცია 10.06.2018, 17:25

- საქონელსა და მომსახურებაზე შეკვეთების მიღება, დამუშავება და შესრულება - **ვაჭრობის მენეჯმენტი**
- საქონლის ნაკადისა და სასაწყობო მარაგის ოპტიმიზაცია - **ლოგისტიკა**
- კლიენტებთან და მომწოდებლებთან ანგარიშსწორება - **ფინანსური მენეჯმენტი**
- საგარანტიო (გაყიდვის შემდეგ) მომსახურება - **თანხლება**




სურ. 1.1.1. კომერციული პროცესის ინფორმაციული კავშირები

”იდეალურ” შემთხვევაში ელექტრონული კომერცია საშუალებას იძლევა სრულად გამოირიცხოს ადამიანი - არამარტო მომხმარებელი, არამედ მიიღველიც კომერციული ციკლიდან.

ურთიერთობის სისტემა „გამყიდველი-მყიდველი“ შეიძლება შეიცვალოს ავტომატურად ფუნქციონირებადი სისტემით „სერვერი-კლიენტი“, წარმოდგენილი მხოლოდ აპარატული და პროგრამული საშუალებებით.⁵

⁵ ც. ნოზაძე „ელექტრონული კომერციის ინფორმაციული ტექნოლოგიები“, გორი, 2010

ელექტრონული კომერცია ელექტრონულ ბიზნესში შემდეგ ადგილს იკავებს (სურ. 1.1.2):



სურ. 1.1.2. ელექტრონული კომერციის ადგილი ელექტრონულ ბიზნესში⁶

გამოყოფენ ელექტრონული კომერციის 5 ძირითად მიმართულებას:

1. ბიზნესი-ბიზნესი (B2B, business-to-business). კომპიუტერული ქსელების საშუალებით კომპანიების ურთიერთქმედების ბიზნეს-მოდელი;
2. ბიზნესი-მომხმარებელი (B2C, business-to-customer). ბიზნეს-მოდელის საფუძველს საცალო ვაჭრობა წარმოადგენს, ანუ ინტერნეტის ქსელში კომპანიებისა და მომხმარებლების ურთიერთობები;
3. მომხმარებელი-მომხმარებელი (C2C, customer-to-customer);
4. ბიზნესი-მთავრობა (B2G, business-to-government);
5. მომხმარებელი-მთავრობა (C2G, customer-to-government).

	მთავრობა (G)	ბიზნესი (B)	მომხმარებელი (C)
მთავრობა (G)	G2G	G2B	G2C
ბიზნესი (B)	B2G	B2B	B2C
მომხმარებელი (C)	C2G	C2B	C2C

ცხრილი 1.1.1. ელექტრონული კომერციის მიმართულებები

⁶ А. В. Дёмина «Электронный бизнес», Саратов, 2015

ელექტრონული კომერციის საწარმოებლად აუცილებელია ინტერნეტში საკუთარი Web-საიტის გახსნა და „ამუშავება“. ვაჭრობის პროცესის ავტომატიზირებისათვის აუცილებელია სპეციალიზებული პროგრამის (სკრიპტის), ე.წ. „ვირტუალური მაღაზიის“ დაყენება, მასში შესაფერისი საქონლის გამოფენა, რეკლამისა და MLM (Multi-Level Marketing) მარკეტინგის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება ამ საქონლის წინ წაწევის მიზნით.

ძირითადი განსხვავებები ელექტრონულ ბიზნესსა და ელექტრონულ კომერციას შორის:

- ელექტრონულ ბიზნესს შეიძლება არ გააჩნდეს კომერციული შემადგენელი;
- ელექტრონული კომერცია - ეს არის ელექტრონული ბიზნესის შეზღუდული გამოხატვა, რომელიც წარმოადგენს მარკეტინგს, გაყიდვას, საქონლის ან მომსახურების შეძენას ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებით;
- ელექტრონული ბიზნესი მხარს უჭერს სამომხმარებლო ღირებულების დამატების ჯაჭვს, მასში (ჯაჭვში) რამოდენიმე კომპანიის ინტეგრირების გზით;
- ელექტრონული ბიზნესი ყურადღებას ამახვილებს კომპანიის შიდა საქმიანობისა და მომწოდებლების ჯაჭვების მართვის სფეროზე.

ელექტრონული კომერციის ობიექტები:

- საქონელი (მატერიალური ფასეულობები, ნაკეთობები, ნედლეული, საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების საქონელი და საკუთრების უფლების მქონე სხვა ობიექტები, რომლებიც კანონმდებლობის ფარგლებში შეიძლება გაცემულ იქნეს);
- სამუშაო;
- მომსახურება.

ელექტრონული კომერციის სუბიექტებს წარმოადგენენ:

- ფიზიკური პირები;
- იურიდიული პირები (მათ შორის უცხოელები, საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად);
- ფინანსური ინსტიტუტები;
- სხვა იურიდიული პირები;
- სახელმწიფო, როგორც მფლობელი;

- ხელისუფლების ორგანოები;
- სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ელექტრონულ კომერციაში იღებენ მონაწილეობას, როგორც:
 - პირები, რომლებიც ახორციელებენ ელექტრონულ კომერციას;
 - შესაბამისი საქონლის, სამუშაოს ან მომსახურების მყიდველები ან დამკვეთები.⁷


რაც შეეხება *ელექტრონულ ვაჭრობას*, ეს არის პროცესი, რომლის დროსაც სავაჭრო გარიგება ინტერნეტის მეშვეობით იდება. ამ შემთხვევაში როგორც მყიდველი, ასევე გამყიდველი შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ადამიანი, ფირმა-მწარმოებელი ან ფირმა-შუამავალი. მათ შორის ურთიერთობა ხორციელდება ინტერნეტის გამოყენებით (სპეციალური ვებ-გვერდები, მაგალითად: Ebay, Amazon და ა.შ.).

ელექტრონულმა ვაჭრობამ თავისი განვითარება დაიწყო გასული საუკუნის 90-იან წლებში. თავდაპირველად ვაჭრობის ამ ტიპს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ, მაგრამ ინტერნეტ ტექნოლოგიების განვითარებამ და მე-20 საუკუნეში დაწყებულმა გლობალიზაციის პროცესებმა შეიტანეს თავისი წვლილი ვაჭრობის ამ სახის განვითარებაში.

ელექტრონული ვაჭრობის განსახორციელებლად უნდა შეირჩიოს საქმიანობის მიმართულება, შეიქმნას ვებ-სერვისი, რომელზეც მონაცემები სპეციალური მონაცემთა ბაზიდან აისახება, განისაზღვროს მიზნობრივი ბაზარი და ა.შ.

ქვემოთ მოცემულ გრაფიკ 1.1.1-ზე ჩვენ შეგვიძლია ვნახოთ, თუ როგორ იზრდება ელექტრონული ვაჭრობის მეშვეობით განხორციელებული გარიგებებიდან მიღებული შემოსავალი (აღებულია 2014-2018 წლის მონაცემები და ამ მონაცემებიდან გამომდინარე გაკეთებულია პროგნოზი 2019-2021 წლებისთვის):

⁷ А. В. Дёмина «Электронный бизнес» , Саратов, 2015



გრაფიკი 1.1.1. ელექტრონული ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების ზრდა⁸

მოცემულ თავში ჩვენ განვიხილავთ ელექტრონულ და ტრადიციულ მაღაზიებს შორის განსხვავებას და ელექტრონული ვაჭრობის დადებით და უარყოფით მხარეებს.

ასევე გამოვყოთ ელექტრონული მაღაზია ან ინტერნეტ მაღაზია. ეს არის ინტერნეტის ქსელში ვებ-სერვისის შექმნის გზით რეალიზებული წარმომადგენლობა, რომლის მეშვეობით ხორციელდება საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია. იგი წარმოადგენს ტერიტორიულად დაშორებული მაღაზიის სუბიექტების (გამყიდველები, მოლარეები, მყიდველები) ჯგუფს, რომელსაც საშუალება აქვს ელექტრონული მოწყობილობების გამოყენებით დაამყარონ ერთმანეთთან კომუნიკაცია და გაცვალონ ინფორმაცია პირადი კონტაქტის არარსებობის პირობებში. სწორად ამ ასპექტზე ჩვენ მომავალში გვექნება ჩატარებული პრაქტიკული სამუშაო.

⁸ <https://www.statista.com/statistics/379046/worldwide-retail-e-commerce-sales/> 12.06.2018, 10:50

1.2. განსხვავება ტრადიციულ და ელექტრონულ ვაჭრობას შორის

ვირტუალური მაღაზია - ეს არის ინტერნეტის ქსელში შექმნილი წარმომადგენლობა, რომელიც ქმნის ვებ-სერვერს საქონლისა და მომსახურების სხვა მომხმარებლებისათვის გაყიდვის მიზნით. ვირტუალურ მაღაზიას ასევე ხშირად უწოდებენ ინტერნეტ-მაღაზიას. მას სრულად შეესაბამება ვირტუალური საწარმოს განმარტება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვირტუალური მაღაზია - ეს არის ტერიტორიულად განშორებული მაღაზიის პერსონალის (გამყიდველები, მოლარეები) და მყიდველების საზოგადოება, რომლებსაც შეუძლიათ ურთიერთობა და ინფორმაციის გაცვლა კავშირის ელექტრონული მოწყობილობების დახმარებით პირდაპირი კონტაქტის სრული (ან მინიმალური) არარსებობის დროს.

ელექტრონული ვაჭრობა ვირტუალურ მაღაზიაში დაფუძნებულია იგივე სტრუქტურაზე, როგორც ტრადიციული ვაჭრობა:

ტრადიციული მაღაზია	ვირტუალური მაღაზია
სავაჭრო ცენტრი	ვირტუალური მაღაზია
სავაჭრო ცენტრში სიარული და მაღაზიის თაროებზე საქონლის დათვალიერება	სერვერის გვერდების დათვალიერება
მყიდველსა და გამყიდველს (კონსულტანტს) შორის პირადი კონტაქტი	კონსულტაცია გამყიდველთან (საჭიროების შემთხვევაში) ინტერნეტის ან ტელეფონის მეშვეობით
საქონლის შერჩევა	საქონლის შერჩევა
საქონლის შეკვეთა	საქონლის შეკვეთა სერვერის მეშვეობით
გამყიდველის მიერ საქონლის გამოწერა და მყიდველისთვის საგადახდო ანგარიშის წარდგენა	გამყიდველის მიერ მყიდველისთვის საგადახდო დავალების კომპიუტერული ქსელებით გაგზავნა
მყიდველის მიერ საქონლის ღირებულების გადახდა ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით	მყიდველის მიერ საქონლის ღირებულების გადახდა რომელიმე ელექტრონული გადახდის სისტემის

	(საბანკო ბარათი, ელექტრონული ჩეკი, ციფრული ფული, ელექტრონული ფული მეშვეობით
--	-----------------------------------------------------------------------------

ცხრილი 1.2.1. ტრადიციული და ელექტრონული ვაჭრობის შედარება⁹

ტრადიციული ვაჭრობის ინტერნეტში გადაყვანა ვაჭრობის პროცესს ხდის უფრო მოქნილს, რადგან ელექტრონული ვაჭრობა გლობალურ ქსელში ციფრული ინფორმაციის ოპერირებით ადამიანების თანამშრომლობას ამარტივებს.

ვირტუალური ეკონომიკის ბაზარზე მოქმედებს უფრო მკაცრი კონკურენცია მწარმოებლებს, გამყიდველებსა და მყიდველებს შორის, ვიდრე ტრადიციული ეკონომიკის დროს.

ტრადიციული ეკონომიკის ბაზარი - ეს არის ბაზარი, რომელსაც გააჩნია თითქმის სრული სიმეტრია და წარმოადგენს მყიდველებისა და გამყიდველების ერთობლიობას. მათ ურთიერთქმედებას მივყავართ „საქონელი-ფული“ გაცვლის სისტემისკენ. საქონლის რეალურ დროში ნახვა, დაჭერა, შემოწმება და ა.შ. ნიშნავს ბაზრის სიმეტრიულობას, ანუ მყიდველის მოთხოვნასა და გამყიდველის მიწოდებას შორის შორის სრულ შესაბამებას.

ვირტუალური ეკონომიკის ბაზარი - ეს არის ასიმეტრიული ბაზარი. საქონლის ინტერნეტით ან მობილური კავშირით გაყიდვის დროს გამყიდველმა საქონლის შესახებ იცის მეტი, ვიდრე მყიდველმა. ინვესტორი, რომელიც იღებს კრედიტს ბანკში, იცის გარიგებაზე მეტი, ვიდრე კრედიტორმა. ბაზრის ასიმეტრიულობას შეუძლია მისი რყევების დაწყება. ასიმეტრიულობის შემცირებისათვის გამოიყენება მეთოდების მთელი კომპლექსი, რომლებიც ჯამში აყალიბებენ ბაზრის სიმეტრიულობის მექანიზმს. საბაზრო სიგნალების ერთობლიობა, რომლებიც გამოიხატება დამატებით ინფორმაციაში, მიედინება შეტყობინებების სახით გამყიდველისგან მყიდველისკენ და ეხმარება ამ უკანასკნელს საქონელსა და მის მიმართ საკუთარი ინტერესის უკეთ გაცნობიერებაში. ეს არის პოზიტიური იმიჯის ფორმირება - რომელიმე საქონლის, ოპერაციის, მწარმოებლის, მომხმარებლის შესახებ მიზანმიმართული იმიჯის შექმნა, რომლის დონე შეიძლება ციფრული მაჩვენებლით - რეიტინგით- გამოისახოს. ეს ასევე

⁹ http://e-commerce.narod.ru/e_market.html 11.06.2018. 19:22

წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ მოცემული საქონლის, მომსახურების ან ოპერაციის მწარმოებელი (მომწოდებელი) არის სანდო და პასუხისმგებელიანი.

ტრადიციული და ელექტრონული ვაჭრობა ერთმანეთისგან განსხვავდება არა მარტო ყიდვისა და გადახდის პროცესით. მათ შორის ასევე შემდეგი განსხვავებები არსებობს:

- მყიდველების მოზიდვის მეთოდები - ტრადიციული მაღაზიის შემთხვევაში მყიდველების მოზიდვა ხდება 4 ეტაპის (რეკლამის დახმარებით, ვიტრინის გაფორმებით, მაღაზიის ინტერიერით, საქონლის შერჩევის სიმარტივით) გავლით. ელექტრონული მაღაზიის შემთხვევაში ვიტრინა და უშუალოდ მაღაზია გაერთიანებულია და საჭიროა მყიდველისთვის ინფორმაციის მოკლედ და ლაკონურად მიწოდება;
- ფსიქოლოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით - გამყიდველებს არ აქვთ მყიდველებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების შესაძლებლობა;
- საქონლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით - ტრადიციულ მაღაზიაში მყიდველი საქონელს პირადად ეხება და შეისწავლის. ვირტუალური მაღაზიის შემთხვევაში მომხმარებელი ეძებს დამატებით ინფორმაციას ინტერნეტში;
- ყიდვის განხორციელების თვალსაზრისით - ტრადიციულ მაღაზიაში მყიდველი პირადად ყიდულობს საქონელს. ინტერნეტ მაღაზიის შემთხვევაში იგი ამ საქონელს ინტერნეტის დახმარებით იწერს;
- ხარჯების და ვაჭრობის ორგანიზების თვალსაზრისით - ვაჭრობისა და მომსახურების ორგანიზება ელექტრონული მაღაზიის საშუალებით ხელს უწყობს მაღაზიების, საწყობების და ოფისების შენობების არსებობას, აგრეთვე ყველა სახის სავაჭრო აღჭურვილობის ქონას არასაჭიროს ხდის. ჩვეულებრივი კატალოგების ბეჭვდა და გაგზავნის მაგივრად, შესაძლებელია ელექტრონული კატალოგების შექმნა, რაც შედარებით იაფია. მსოფლიოში ბევრი სავაჭრო კომპანია არსებობს, რომელიც მხოლოდ ელექტრონული მაღაზიების საშუალებით ახორციელებს გაყიდვას (მაგალითად, Amazon.com). ამ შემთხვევაში სავაჭრო ორგანიზაციები საშუალებას იძლევიან შემცირდეს რეალიზაციის,

რეკლამის და საცალო ქსელის მოვლა-შენახვის ხარჯები. სინამდვილეში, პროდუქცია გაიყიდება ცალობით, მაგრამ საბითუმო ფასებში (20-30% იაფად).

- მაღაზიების ვიზიტის სიმარტივის თვალსაზრისით - ბევრად უფრო მარტივია ათი ელექტრონული მაღაზიის ვიზიტი, ვიდრე იგივე რაოდენობის ტრადიციული მაღაზიების მოვლა ან მათთან დაკავშირება ათ სხვადასხვა ნომერზე სასურველი (ან შედარებით იაფი) პროდუქტის მოსაძებნად. მყიდველს არ მოუწევს დახარჯოს დრო საცობში დგომაში, პარკირების ადგილის ძებნაში ან მაღაზიაში უსასრულო რიგში დგომაში, რათა შეიძინოს სასურველი პროდუქტი.
- ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით - ნებისმიერი ელექტრონული მაღაზია ხელმისაწვდომია მყიდველისთვის მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან. აქედან გამომდინარე, ის შეუზღუდავია იმ საქონლისა და მომსახურების არჩევანში, რომელიც აუცილებელია მისი მოგზაურობისა და საქმიანი ვიზიტების დროს. ასეთი მაღაზიები ღიაა 24 საათი და მათ არ ჰყავთ ბევრი მყიდველი, როგორც ჩვეულებრივ მაღაზიებს. მყიდველს აქვს შესაძლებლობა გააკეთოს შენაძენი მისთვის სასურველ დროს.
- მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით - ჩვეულებრივ მაღაზიაში, პროდუქტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად თქვენ უნდა მიმართოთ კონსულტანტს. ამ შემთხვევაში, თქვენი არჩევანი დამოკიდებული იქნება კონსულტანტისა და მისი კომპეტენციის დონეზე, აგრეთვე იმ დროზე რაც მან დაგიტომოთ. კარგად ორგანიზებული ელექტრონული მაღაზია გთავაზობთ დაწვრილებით ინფორმაციას ყველა პროდუქტის შესახებ, ხოლო მყიდველს არ უწევს ლოდინი თუ როდის განთავისფლდება კონსულტანტი, რათა მიიღოს ინფორმაცია პროდუქტზე. ასევე ამ მაღაზიაში არსებობს სხვა საიტების ბმული, სადაც შეგიძლიათ მიიღოთ რჩევები პროდუქტის შესახებ დამოუკიდებელი წყაროებისგან, რითაც არჩევანის გაკეთება პირადი აზრის საფუძველზე ხდება. აქედან გამომდინარე მყიდველს არ უწევს გამყიდველთან პირისპირ საუბარი, რაც გამყიდველის მხრიდან ემოციურ და სხვადასხვა სახის ზემოქმედებას გამოიწვევს.

- ბაზარზე გამოსვლაზე დროის თვალსაზრისით - გაცილებით ნაკლები დროა საჭირო საკუთარი ელექტრონული მაღაზიას შექმნას, ვიდრე ტრადიციული მაღაზიის ორგანიზებას. ამავდროულად, მწარმოებელს შეუძლია თავად დაადოს თავის პროდუქციას ფასი და აკონტროლოს ის. ვაჭრობა შუამავლების გარეშე გაცილებით სწრაფად იძლევა შემოსავალს საკუთარი საქონლის გაყიდვით. კომპანიას საშუალება ეძლევა მალევე დაამატოს პროდუქცია და გახადოს იგი მრავალფეროვანი, ასევე შეცვალოს პროდუქტის ფასი და აღწერა.
- საქონლის მრავალფეროვნების თვალსაზრისით - როგორც წესი, ტრადიციულ მაღაზიებში პროდუქტზე არჩევანი შეზღუდულია, ამიტომ მყიდველს ხშირად უწევს რამოდენიმე მაღაზიაში შესვლა სასურველი პროდუქტის საყიდლად. თუ მყიდველისთვის საჭირო საქონელი ერთ ელექტრონულ მაღაზიაში ვერ მოიძებნა, მაშინ ის მარტივად შეიძლება მოიძებნოს სხვაში. თქვენ ასევე შეგიძლიათ თხოვნით მიმართოთ უშუალოდ მწარმოებლის ვებგვერდს.
- ინფორმაციის სისრულის თვალსაზრისით - მყიდველებს სახლიდან გაუსვლელად შეუძლიათ მოიძიონ დიდი რაოდენობით ინფორმაცია პროდუქტების, კომპანიებისა და მათი კონკურენტების შედარების შესახებ. მათ შეუძლიათ ყურადღება გაამახვილონ ისეთ ობიექტურ კრიტერიუმებზე, როგორცაა ფასი, ხარისხი, გამოყენების ვადა და პროდუქტის ხელმისაწვდომობა.

1.3. ელექტრონული ვაჭრობის დადებითი და უარყოფითი მხარეები

ინტერნეტით ყიდვისადმი დამოკიდებულება.

იმ ადამიანთა უმრავლესობა, ვისაც არ უფიქრია ინტერნეტის საშუალებით ნებისმიერი საქონლის შეძენის შესაძლებლობის შესახებ, უბრალოდ არ იცოდა ყიდვის ამ მეთოდების შესახებ.

ინტერნეტ კვლევამ აჩვენა, რომ მომხმარებელთა დაბალი ინტერესის მიზეზი არის: ასეთი მომსახურების უჩვეულო ხასიათი (რესპონდენტთა 67%) და გადახდის უსაფრთხოება (რესპონდენტთა 38%).

ადამიანთა უმრავლესობისთვის, მათ შორის იმათთვისაც, ვინც ინტერნეტთან კარგ ურთიერთობებშია, ელექტრონული მაღაზია მაინც ეგზოტიკაა და საჭიროა დრო მიჩვევისათვის. ონლაინ ყიდვების მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულება ძირითადად აქვთ იმათ, ვისაც ჯერ არ მოუწია ყიდვის ამ მეთოდის გამოყენება. მათთვის რთულია რაიმის ყიდვა მისი რეალურ დროში დანახვასა და შეხების შესაძლებლობის გარეშე. აქ მთავარ როლს თამაშობს ხალხის მორალური მოუმზადებლობა ინტერნეტის მეშვეობით ყიდვის განხორციელებაში, ასევე ისინი ინტერნეტის მიმართ გარკვეულ უნდობლობას იჩენენ.

კიდევ ერთი მიზეზი იმისა, რომ ხალხს არ უნდა ინტერნეტ-მაღაზიებთან ურთიერთობა დაკავშირებულია იმასთან, რომ ყიდვის პროცესი ანონიმურია, მყიდველსა და გამყიდველს შორის პირდაპირი კომუნიკაცია არ არსებობს. ამიტომაც, ყიდვის ან ექსპლუატაციის პროცესში რაიმე პრობლემის გაჩენისას მყიდველი ვერ ხედავს გარანტიას რომ მაღაზია გადაწყვეტს ამ პრობლემას.

ამრიგად, იმის უზრუნველსაყოფად, რომ პოტენციურ მყიდველს ეჭვი არ შეეპაროს მაღაზიის შემდგომ მომსახურებაში საჭიროა მას მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია, თუ ვის უნდა დაუკავშირდეს ნებისმიერ პრობლემასთან ან საკითხთან დაკავშირებით.

როგორც წესი, თუ ინტერნეტში შეძენის შემდეგ მყიდველი კმაყოფილია მაღაზიისგან მიღებული საქონლითა და მომსახურებით, იგი ხდება ამ მაღაზიის მუდმივი მომხმარებელი, ანუ მომავალში ის ახალ მაღაზიას არ ეძებს, არამედ ნახულობს უკვე ნაცნობ ადგილს, სადაც ადრე იყო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ცნობადი და დამახსოვრებადი ბრენდის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტ მაღაზიის ნახვის მაღალ დონეს.

ინტერნეტში შესრულებული ყიდვების სიხშირე.

ინტერნეტის საშუალებით საქონლის შეძენის სიხშირე უშუალოდ დამოკიდებულია მაღაზიების მიერ შემოთავაზებულ ასორტიმენტზე, ასევე მოთხოვნილებების სპეციფიკაზე.

დღეისთვის ყველაზე მოთხოვნად საქონელს წარმოადგენს ის საქონელი, რომლის სამომხმარებლო მოთხოვნები არ იწვევს კითხვებს ან ეჭვს და რომლებიც შემოწმებულია მყიდველების მიერ. ამ კატეგორიის პროდუქციაში შედის წიგნები, ვიდეო და აუდიო პროდუქტები, CD- ეი, DVD- ე.ი. წიგნებზე, ვიდეოსა და CD დისკებზე მოდის დადებული გარიგებების 78% -ზე მეტი. შესაბამისად, საქონელი, რომლის ხარისხიც შეიძლება შეფასდეს მხოლოდ შეძენის შემდეგ, ნაკლებად პოპულარულია. ამ კატეგორიაში შედის: ტანსაცმელი, ძვირადღირებული ტექნიკა, ავეჯი, მანქანები, ხილი, მალფუჭებადი საქონელი და სამკაულები. ანუ ეს არის საქონლის ისეთი კატეგორია, რომელიც უნდა შემოწმდეს პირადი შეხების დროს.

ინტერნეტ გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, რომ ტიპიური მომხმარებლის შესყიდვა ინტერნეტით წელიწადში 10-მდე ჯერ, ან უფრო იშვიათად, ვიდრე წელიწადში სამჯერ.

შესყიდვების დაბალი სიხშირის მიზეზებია:

პირველ რიგში, კონკრეტული მაღაზიის ასორტიმენტი: რამდენიმე მომხმარებელი ყიდულობს წიგნებს, CD და DVD მინიმუმ კვირაში ერთხელ, თუნდაც ტრადიციულ მაღაზიებში. რაც შეეხება საკვებს, რომელიც იყიდება ყოველდღე, მათზე მოთხოვნა ინტერნეტში არის მხოლოდ იმ ქალაქებში, სადაც არ არის წარმომადგენლობითი მაღაზიები, როგორც ასეთი საქონლის მიწოდებას უნდა რამოდენიმე საათი. თუმცა, ისეთი მაღაზიები, რომლებიც სურსათის პროდუქტებს ინტერნეტში სთავაზობენ, ძალიან მცირეა და მათი ასორტიმენტი საკმაოდ პატარაა.

მეორე, ინტერნეტ ვაჭრობის შესახებ დადებითი შთაბეჭდილების შექმნისას გარკვეულ მუხრუჭად გამოდის ის ფაქტი, რომ ინტერნეტ მაღაზიებში მომსახურების ხარისხის დონე განსხვავებულია. ამანათის კვირის განმავლობაში ლოდინს შეუძლია

ნულამდე დაიყვანოს მეორე მაღაზიის შესახებ შექმნილი შთაბეჭდილება, მიუხედავად იმისა რომ ამ მაღაზიას აქვს ორდღიანი მიწოდება.


მესამე, შემზღვეველ ფაქტორებს წარმოადგენს: შეზღუდული და მვირადღირებული ინტერნეტი და შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები.

შესაბამისად ზოგიერთი მომხმარებლისათვის, რომლებიც მზად არიან მოახდინონ შექმნა ინტერნეტში, დაბრკოლება არის არასაკმარისი გადახდისუნარიანობა.

გარდა ამისა, ინტერნეტის მეშვეობით ყიდვების დაბალი სიხშირის მიზეზი შეიძლება იყოს როგორც ზოგიერთი მაღაზიის ნაკლოვანება, ასევე ინტერნეტ-ვაჭრობის ნაკლოვანებები ჯამში.

ინტერნეტ მაღაზიების უპირატესობები (დიაგრამა 1.3.1).

ელექტრონული ვაჭრობის მთავარ უპირატესობას წარმოადგენს ინტერნეტ მაღაზიაში „სიარული და დათვალიერება“ სახლიდან გაუსვლელად. ამ ჰიპოთეზას ადატურებს ინტერნეტ მომხმარებლებს შორის ჩატარებული გამოკითხვა:



დიაგრამა 1.3.1. ინტერნეტ მაღაზიის უპირატესობები¹⁰

ინტერნეტ მაღაზიის სტრუქტურა დიდად არ განსხვავდება ტრადიციულისგან, მაგრამ უკანასკნელისგან განსხვავებით, ის უფრო მკაცრ პირობებში უნდა მოქმედებდეს, რადგან მას არ გააჩნია ისეთი ფუფუნება, როგორცაა მუდვიმი კლიენტები. ონლაინ

¹⁰ <https://docs.google.com/forms/d/1SX027rVUA-qL33Ki5I7PmCZVrMI9jtYgPJoyJrd5SNo/edit>

მაღაზიებში მუდმივი მყიდველების არსებობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან მასში შესყიდვების უმეტესობა მოდის ე.წ. „განმეორებით“ მყიდველებზე. გარდა ამისა, ინტერნეტ მაღაზიაში გადამწყვეტ როლს თამაშობს მომხმარებლის ამა თუ იმ რესურსისადმი მიდრეკილება. შესაბამისად, იმისათვის, რომ შენარჩუნდეს უკვე მოზიდული კლიენტები და მოიზიდოს ახალი, ინტერნეტ მაღაზიამ უნდა მოახდინოს ფოკუსირება მყიდველის ისეთი კომფორტის შექმნაზე, რომელიც შესაძლებელია ინტერნეტ ვაჭრობაში.

ელექტრონული ვაჭრობის ყველაზე თვალსაჩინო უპირატესობა არის ვაჭრობა "სახლიდან გაუსვლელად".

დროის ეკონომია. როდესაც ადამიანი მუშაობს კვირაში 6 დღე დილის 10:00-იდან საღამოს 19:00-მდე, მას ზოგჯერ არ აქვს მაღაზიაში გასვლის დრო. ინტერნეტ-მაღაზია საშუალებას აძლევს განახორციელოს შეძენა ნებისმიერ დროს ოფისის დატოვების გარეშე, ხოლო საქონლის არჩევანი და შეკვეთა საჭიროებს რამდენიმე წუთს, თუ მან ზუსტად იცის რისი ყიდვა სურს. მიწოდების სერვისი შერჩეული პროდუქტის სასურველ დროსა და ადგილზე მოიტანს საქონელს. გარდა ამისა, საქონლის არჩევანი და შეფასება ხდება ინტერნეტ მაღაზიაში უფრო სწრაფად და მოსახერხებლად, ვიდრე ტრადიციულ მაღაზიაში.

შეუზღუდავი ასორტიმენტი და ინფორმატიულობა. ინტერნეტ მაღაზიის ასორტიმენტი შეუზღუდავია (მაგალითად, ჩვეულებრივი მაღაზიის ასორტიმენტი შემოიფარგლება სავაჭრო პავილიონის ფართობით). თუ ხორციელდება ძიება პარამეტრების მიხედვით, შესაძლებელია იმ პარამეტრების მითითება, რომელთაც პროდუქტი უნდა შეესაბამებოდეს და შემდეგ აირჩევა მოდელების სია, რომლებიც აკმაყოფილებენ მოთხოვნას. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი შენიშვნა - გაყიდვების მენეჯერს არ შეუძლია ახსოვდეს იმდენი ინფორმაცია, რამდენსაც ონლაინ მაღაზია მოგცემთ. გარდა ამისა, ონლაინ მაღაზიას შეუძლია უზრუნველყოს ისეთი ინფორმაციის მიწოდება, როგორცაა სამომხმარებლო რეიტინგი, რჩევები და შენიშვნები პროდუქტის შესახებ, სტატიები პროდუქტის შესახებ, რომლითაც შეიძლება წინასწარ განსაზღვროს არჩევანი.

ფულის ეკონომია. ინტერნეტ მაღაზიის მუშაობის ღირებულება, მათ შორის მიწოდების ჩათვლით, მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე ტრადიციული მაღაზიის. ტრადიციული მაღაზიისგან განსხვავებით, ინტერნეტ-მაღაზიას შეუძლია ერთდროულად რამდენიმე ასეულ მომხმარებელს მოემსახუროს, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ამას ვერ ვნახავთ. გარდა ამისა, თუ მყიდველი ცხოვრობს სხვა ქალაქში, მას ეძლევა შესაძლებლობა არ დახარჯოს ფული გრძელ სატელეფონო კონსულტაციებზე. მას შეუძლია იპოვნოს სასურველი ინფორმაცია ინტერნეტ მაღაზიის ვებ-გვერდზე¹¹.

ინტერნეტ მაღაზიების ნაკლოვანებები (დიაგრამა 1.3.2).

ინტერნეტ გამოკითხვა დაგვეხმარა ინტერნეტ მაღაზიების ნაკლოვანებების გამოვლენაში მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე.


ინტერნეტ მაღაზიებში ყიდვის დაბრკოლებად აღმოჩნდა ცუდად დალაგებული გაყიდვების პროცესი, რომელიც შედგება შემდეგი სისტემებისაგან:

1. არასრულყოფილი მიწოდების სისტემა. დიაგრამა 2 გვიჩვენებს, რომ ინტერნეტ მაღაზიებისადმი გამოთქმული პრეტენზიების უმეტესობა დაკავშირებულია არასრულყოფილი მიწოდების სისტემებთან. მყიდველები ითხოვენ ინტერნეტ-მაღაზიებიდან სწრაფი და ხარისხიანი შეკვეთების შესრულებას.

ონლაინ ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ მყიდველებისთვის ძალიან კომფორტულია, როდესაც შესყიდვები მითითებულ მისამართზე, პირდაპირ სახლში ან სამსახურში მოაქვთ. მათი აზრით, მიწოდების სისტემის არასრულყოფილება გამოხატულია: საქონლის მიწოდების არადაამაკმაყოფილებელი პირობებსა და საქონლის ძვირ მიწოდებაში.

მიწოდების სამსახურის ოპერატიულობა დიდად განსაზღვრავს მაღაზიის სახეს, მაგრამ ჯერჯერობით, ონლაინ მაღაზიების თანამშრომლების აღიარებით, საქონლის მიწოდება არის კომპანიის ერთ-ერთი ყველაზე მტკიცველი წერტილი.

¹¹ http://e-commerce.narod.ru/e_market.html 11.06.2018. 19:22



დიაგრამა 1.3.2. ინტერნეტ მაღაზიების ნაკლოვანებები¹²

2. გადახდის არაკომფორტული სისტემა. აღმოჩნდა, რომ რესპონდენტებს არაერთხელ უთქვამთ, რომ შეძენაზე უარის თქმა მოუწიათ მხოლოდ იმიტომ, რომ ინტერნეტ-მაღაზიამ მათთვის სასურველი გადახდის ფორმა არ შესთავაზა. გადახდის ყველაზე გავრცელებული ფორმა გადახდა კურიერისთვის. იგი ასევე აღინიშნება, როგორც გადახდის ყველაზე უსაფრთხო მეთოდი.

3. შეკვეთების რთული სისტემა. რთული შეკვეთის სისტემა არის ხანგრძლივი და დამაბნეველი პროცესი. მყიდველმა უნდა შეავსოს გრძელი და ხშირად სრულიად გაუგებარი ფორმა, რის შედეგადაც ინტერნეტში ბევრი დრო იხარჯება, რაც ყოველთვის არ არის იაფი (განსაკუთრებით აქტუალურია ლიმიტირებული ინტერნეტით სარგებლობისას). ინტერვიუებმა აჩვენა, რომ მყიდველებს უნდათ რომ შესყიდვის პროცესს მინიმალური დრო დასჭირდეს. ასევე, რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ მაღაზიას ნელი ჩამოტვირთვის სიჩქარე აქვს, რაც მათ მაღაზიიდან გასვლას იწვევს.

ამასთანავე, რესპონდენტებმა აღნიშნეს ზოგიერთი მაღაზიის არასტაბილური ასორტიმენტი, ანუ პროდუქტის შერჩევისა და დამუშავების შემდეგ, აღმოჩნდა, რომ სასურველი საქონელი არ არის საწყობში ან მაღაზია ვერ დაუკავშირდა მყიდველს. ეს

¹² <https://docs.google.com/forms/d/1SX027rVUA-qL33Ki5I7PmCZVrMI9jtYgPJoyJrd5SNo/edit>

სიტუაცია ხშირად აღიზიანებს მომხმარებლებს და აიძულებს მათ გამოიყენონ სხვა მაღაზიები.

4. რეგისტრაციის აუცილებლობა. ზოგიერთი მაღაზიები მყიდველს აიძულებენ ძალიან ხანგრძლივი ნაბიჯ-ნაბიჯ რეგისტრაციის პროცესის გავლას. ეს ხელს უშლის პოტენციურ მყიდველებს ამ მაღაზიაში შესყიდვებისგან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მყიდველი აფასებს მის მიერ დახარჯულ დროს.

თავი 2. ელექტრონული ვაჭრობის არსებული მდგომარეობა მსოფლიოსა და საქართველოს მასშტაბით

2.1. ელექტრონული ვაჭრობის ძირითადი მაჩვენებლები

რას ყიდულობს ხალხი ინტერნეტში?

ინტერნეტში ყიდვის მიხედვით პირველ ადგილს იკავებს ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. ონლაინ შოპინგს ყველაზე ხშირად მიმართავენ ქალები - ისინი არიან ტანსაცმლის, კოსმეტიკის, ყოველგვარი აქსესუარების, სახლის ნივთებისა და საკვები პროდუქტების გამყიდველების ძირითადი აუდიტორიის შემადგენლები.

მეორე ადგილზე დგას სახლის ელექტრონიკა. კარგად იყიდება ტელევიზორები, ფოტოაპარატები, მტვერსასრუტები, უთოები და სხვა.

მიუხედავად ჩამოყალიბებული სტერეოტიპისა, რომ 21-ე საუკუნეში ხალხი არ კითხულობს წიგნებს, ონლაინ ყიდვების მესამე ადგილზე დგას წიგნები.

ყველაზე დიდი საშუალო ჩეკი აქვთ კომპიუტერებისა და მობილურების გამყიდველებს. მომხმარებლის შეკვეთის საშუალო ღირებულება შეადგენს 212 აშშ დოლარზე მეტს (სურ. 2.1.1).

ანგარიშწორების მეთოდები

რაც შეეხება თანხის გადახდას, მყიდველების უმეტესობა მზადაა გადაიხადოს საბანკო ბარათის გამოყენებით. დსთ-ს ქვეყნების მოსახლეობას ონლაინ გადახდების მიმართ ნდობის ნაკლები დონე გააჩნია, ამიტომ ისინი უპირატესობას ანიჭებენ თანხის საქონლის მიღების პროცესში გადახდას.

მობაილ ბანკის მომხმარებელთა რაოდენობა 2018 წელს 30% გადააჭარბა. მობილური აპლიკაციების შორის ლიდერობა უკავია სისტემას Apple Pay.

ინტერნეტ ვაჭრობის ლიდერი ქვეყნები

მსოფლიოს მასშტაბით 2018 წელს ელექტრონული ვაჭრობიდან მიღებულმა ჯამურმა შემოსავალმა შეადგინა 2.86 ტრლნ აშშ დოლარი¹³.

¹³ <https://www.digitalcommerce360.com/article/global-ecommerce-sales/> 25.06.2019, 20:28

როგორც მოსალოდნელი იყო, 2018 წელს ელექტრონული ვაჭრობის ბაზარზე ლიდერობა ჩინეთმა შეინარჩუნა. მასზე მოდის მთლიანი გაყიდვების მოცულობის 47%, ხოლო თანხობრივად ის დაახლოებით შეადგენს 1.33 ტრლნ აშშ დოლარს¹⁴.



სურ. 2.1.1. მომხმარებლის საშუალო შეკვეთის ღირებულება კატეგორიების მიხედვით¹⁵

მეორე ადგილზე იმყოფებიან ჩრდილოეთ ამერიკის ინტერნეტ მაღაზიები. 2017 წელთან შედარებით, რეგიონის ზრდამ შეადგინა 15%, ხოლო გაყიდვების მოცულობა საშუალოდ შეადგენს 517.36 მლრდ აშშ დოლარს¹⁶.

¹⁴ <https://www.digitalcommerce360.com/2019/01/24/chinas-online-sales-grew-almost-24-in-2018/> 25.06.2019, 20:30

¹⁵ <https://lemarbet.com/razvitie-internet-magazina/interesnye-fakty-ob-internet-torgovle/> 25.06.2019, 20:10

¹⁶ <https://www.digitalcommerce360.com/article/us-ecommerce-sales/> 25.06.2019, 20:33

ასევე ინტერნეტ ვაჭრობაში წარმატებას მიაღწიეს შემდეგმა ქვეყნებმა:

დიდი ბრიტანეთი - ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი 2017 წელთან შედარებით გაიზარდა 4.7%-ით და შეადგინა 600.21 მლრდ აშშ დოლარი. აქედან ონლაინ ვაჭრობამ მოიტანა 124 მლრდ აშშ დოლარის შემოსავალი¹⁷;

გერმანია - 2017 წელთან შედარებით ონლაინ ვაჭრობიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 11%-ით და შეადგინა 65.1 მლრდ ევრო¹⁸ (74 მლრდ აშშ დოლარი);

საფრანგეთი - შემოსავლის მატებამ შეადგინა 13.4%, 2018 წელს მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 92.6 მლრდ ევრო¹⁹ (105.38 მლრდ აშშ დოლარი);

რუსეთი - ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში საერთო ზრდამ შეადგინა 20-25%, ხოლო 2018 წელს მიღებული შემოსავალი - 1.4 ტრლნ რუბლი²⁰ (22.28 მლრდ აშშ დოლარი);

კანადა - ინტერნეტ გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 24.03 მლრდ აშშ დოლარს. მოცემული ციფრი ყოველ წელს იზრდება და 2022 წელს მოსალოდნელია მისი ზრდა 31.98 მლრდ აშშ დოლარამდე²¹;

იაპონია - 2018 წელს იაპონიის ელექტრონულმა ვაჭრობამ მიაღწია 17.98 ტრლნ იენას. იაპონიის ელექტრონული ბაზარი აღიარებულია, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი ბაზარი. მსოფლიოს მასშტაბებით ის დგას მესამე ადგილზე, მხოლოდ აზიის რეგიონში - მეორე ადგილზე²² (162.83 მლრდ აშშ დოლარი);

ბრაზილია - 2017 წელთან შედარებით შემოსავალი გაიზარდა 12%-ით და შეადგინა 53.4 მლრდ რეალი (14.6 მლრდ აშშ დოლარი), ხოლო 2019 წელს მოსალოდნელია ამ ციფრის 79.9 მლრდ რეალამდე ზრდა²³ (21.86 მლრდ აშშ დოლარი).

ზემოთმოყვანილი ქვეყნების წილი მსოფლიო შემოსავალში გამოიყურება შემდეგნაირად (დიაგრამა 2.1.1):

¹⁷ <https://www.emarketer.com/content/uk-retail-and-ecommerce-2018> 25.06.2019, 20:37

¹⁸ <https://ecommercenews.eu/ecommerce-in-germany-e65-10-billion-in-2018/> 25.06.2019, 20:39


¹⁹ <https://www.fevad.com/2018-report-on-e-commerce-in-france-the-french-spent-e90-billion-on-the-internet/> 25.06.2019, 20:40

²⁰ <https://tass.ru/ekonomika/6272597> 25.06.2019, 20:41

²¹ <https://www.eshopworld.com/blog/canada-ecommerce-insights-2018/> 25.06.2019, 20:42

²² <https://www.statista.com/statistics/901251/japan-b2c-e-commerce-market-size/> 25.06.2019, 20:43

²³ <https://www.pagbrasil.com/noticias/brazilian-e-commerce-industry-2019/> 25.06.2019, 20:44



დიაგრამა 2.1.1. მსოფლიოში ქვეყნების ელექტრონული ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლის წილი (2018 წელი)

2019 წელს ინტერნეტ ვაჭრობის მოსალოდნელმა ბრუნვამ უნდა შეადგინოს 2 ტრილიონი აშშ დოლარი. აქედან გამომდინარე, 2017 წელთან შედარებით მოსალოდნელია 6%-იანი მატება.

2020 წლის დასაწყისისთვის ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ინტერნეტ ვაჭრობის ბრუნვა 2018 წლის მონაცემებთან შედარებით გაორმაგდება. ამასთან, საერთო ტენდენცია არ შეიცვლება: ყველაზე დიდი ტრაფიკი ექნება აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებს. სხვადასხვა შეფასებით, 2 წლის შემდეგ მათი ბრუნვა გაიზრდება 2.4-2.8 ტრილიონ აშშ დოლარამდე.

ვინ ყიდულობს ინტერნეტში?

ინტერნეტ-მყიდველის საშუალო ასაკი შეადგენს 25 წელს.

მომხმარებელთა უმეტესობა რეგულარულად ახორციელებს ონლაინ შეძენებს ევროპის ქვეყნებში. დიდ ბრიტანეთში ეს მაჩვენებელი შეადგენს 81%, ნორვეგიაში - 76%, გერმანიაში - 73%, საფრანგეთში - 65%, ესტონეთში - 59%.

ინტერნეტ ვაჭრობასთან დაკავშირებული პრობლემები

დღესდღეობით ინტერნეტ კომერციის ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს უსაფრთხოება. კერძოდ, ეს ეხება გადახდებს მობილური აპლიკაციებითა და სხვადასხვა სერვისებით.


კიბერპოლიციის აქტიური მუშაობის მიუხედავად ხშირად ხვდება კონფიდენციალური ინფორმაციის არაკეთილსინდისიერი გამოყენება, ანგარიშიდან თანხის მოპარვა და ა.შ.

ლოგისტიკა წარმოადგენს მეორე პრობლემას, რომელსაც ყველაზე ხშირად აწყდებიან ინტერნეტ მაღაზიების გამოცდილი ხელმძღვანელებიც კი. ინტერნეტ მაღაზიების მომხმარებლებს შორის ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ დამკვეთები მზად არიან დაელოდონ თავის შეკვეთას დაახლოებით 2-3 დღეს. და მხოლოდ 25% მზადაა ელოდოს ერთი კვირა. ამიტომ წარმატებული ინტერნეტ მაღაზიები მზად არიან, დახარჯონ შემოსავლის 20-30% საკუთარი სერვისის გაუმჯობესებაზე.

პოტენციური მყიდველები ინტერნეტ მაღაზიის ხარისხიანი მუშაობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მაჩვენებლად ასახელებენ საქონლის დაბრუნების სიჩქარესა და სიმარტივეს²⁴.

ევროპაში ქვეყნების მიხედვით მოსახლეობის მიერ ინტერნეტში განხორციელებული შესყიდვების პროცენტული თანაფარდობა შემდეგია (დიაგრამა 2.1.2):

²⁴ <https://neoseo.com.ua/internet-torgovlya-statistika-2018-goda> 16.06.2019 16:50



დიაგრამა 2.1.2. ევროპის ქვეყნებში მოსახლეობის წილი, რომელიც ყიდულობს ინტერნეტში²⁵

რაც შეეხება საქართველოს, აქ ინტერნეტის გამოყენება შემდეგნაირია: ინტერნეტს მოსახლეობის 92.4% სოციალური ქსელების მოხმარების მიზნით იყენებს. ასევე ინტერნეტის გამოყენების მიზნებს შორის მაღალია ონლაინ ახალი ამბების კითხვაც (52.5%). ელ ფოსტის სარგებლობისთვის ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი 51%-ია. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით, მოსახლეობის 51.6% ინტერნეტს ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოსაძიებლად იყენებს. საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად ინტერნეტს 30.8% იყენებს, სამუშაოს ინტერნეტში 20% ეძებს, ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობისთვის ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი კი 26.1%-ია. წინა წლის მონაცემებთან შედარებით, ინტერნეტის გამოყენების მაჩვენებელი თითქმის ყველა სფეროში გაზრდილია, თუმცა მაგალითად ელ ფოსტის შემოწმების მიზნით თუკი გასულ წელს ინტერნეტს 52.5% იყენებდა, წელს ეს მაჩვენებელი 51.9%-მდე შემცირდა (ცხრილი 2.1.1):

²⁵ <https://www.retailinsiders.nl/docs/77f3cdc4-38b2-4dd2-8938-cb4293cc8c19.pdf> 16.06.2019 17:26

15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება, ინტერნეტის გამოყენების ძირითადი მიზნების მიხედვით* (%)								
	სულ	კაცი	ქალი	ქალაქი	სოფელი	15-29 წლის	30-59 წლის	60 წლის და უფროსი
სოციალური ქსელების გამოყენება	92.4	91.7	93.1	92.6	92.0	95.7	92.4	82.1
ონლაინ ახალი ამბების/გაზეთების/ჟურნალების საკითხავად	52.5	51.2	53.6	59.6	37.8	54.0	52.3	48.8
ელ. ფოსტის მიღება/გაგზავნა	51.9	51.3	52.4	59.4	36.3	63.5	49.4	29.3
ინტერნეტ აუდიო/ვიდეო კავშირი (ტელეფონია)	76.1	74.7	77.5	79.1	70.0	82.4	73.7	70.4
ჯანმრთელობის საკითხებზე ინფორმაციის მოსაძიებლად	51.6	38.9	63.2	59.0	36.3	44.9	54.0	59.4
საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის მოსაძიებლად	30.8	31.3	30.4	35.0	22.3	36.6	30.6	14.1
სამუშაოს ძიება ან სამუშაოსთვის აპლიკაციების გაგზავნა	20.0	17.3	22.4	25.1	9.4	29.9	16.8	6.7
ინტერნეტ ბანკინგით სარგებლობა	26.1	26.8	25.5	32.6	13.0	30.4	27.1	7.8
პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტის (გარდა თამაშებისა) ჩამოსატვირთად	11.2	13.0	9.4	13.3	6.7	20.3	7.7	2.0
* ვინც ინტერნეტით ისარგებლა ბოლო 3 თვეში								

ცხრილი 2.1.1. ინტერნეტით სარგებლობის მიზეზები 2018 წლის მონაცემებით²⁶

აღსანიშნავია, რომ სოციალური ქსელების გამოყენების მიზნით, ინტერნეტს ყველა ასაკობრივ ჯგუფში მაღალი მაჩვენებელი აქვს: 15-29 წლის ასაკის პირებში 95.7%; 30-59 წლამდე პირებში - 89.7%; 60 წელს ზევით - 70.8%.

საქართველოში ინტერნეტით ვაჭრობის მაჩვენებელი იზრდება. სტატისტიკის სამსახურის მონაცემებით 2018 წელს 15 და მეტი ასაკის მოსახლეობის 20.6%-ს შეუძენია ან შეუკვეთია საქონელი/მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით. 2017 წელს ეს მაჩვენებელი 16.7% იყო, ხოლო 2016 წელს კი 18.6% (ცხრილი 2.1.2):

²⁶ <https://geostat.ge/media/16680/internetis-gamoyenebis-miznebi.xlsx> 16.06.2019 17:06

15 წლისა და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი, ვინც შეიძინა ან შეუკვეთა საქონელი/მომსახურება ინტერნეტის მეშვეობით* (%)								
	სულ	კაცი	ქალი	ქალაქი	სოფელი	15-29 წლის	30-59 წლის	60 წლის და უფროსი
2016, ივნისი	18.6	18.2	18.9	23.8	7.6	24.8	15.7	5.3
2017, ივნისი	16.7	18.3	15.2	21.3	7.8	21.8	15.3	2.7
2018, ივლისი	20.6	19.3	21.8	25.8	9.8	31.8	17.1	5.4

* ვინც ინტერნეტით ისარგებლა ბოლო 12 თვეში

ცხრილი 2.1.2. ინტერნეტის მეშვეობით შეძენების სტატისტიკა²⁷

2018 წლის ივლისის მონაცემებით, ინტერნეტ ვაჭრობას უპირატესობას ქალები უფრო მეტად ანიჭებენ (21.8%), ვიდრე კაცები (19.3%). ქალაქებში ინტერნეტ ვაჭრობით მოსახლეობის 25% სარგებლობს, ხოლო სოფლებში კი 9.8%. ამასთან, ინტერნეტ ვაჭრობის ყველაზე დიდი წილით 15-დან 29 წლამდე პირები გამოირჩევიან²⁸.

²⁷ <https://geostat.ge/media/16682/E-komercia.xlsx> 16.06.2019 17:07

²⁸ <https://forbes.ge/news/4749/ra-mizniT-iyeneben-internets-saqarTveloSi> 16.06.2019 17:00

2.2. ელექტრონული ვაჭრობის არსებული ტექნოლოგიების შედარება

ტექნოლოგიებში შეგვიძლია გამოვყოთ აბსტრაქციის 3 დონე:

1. დაპროგრამების ენა - ეს არის მასალა, რომლისგანაც შესაძლებელია ყველაფრის გაკეთება. ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს ენის შესაძლებლობა. მისი გამოყენებით აწყობილია საიტები, რომლებსაც ყოველდღიურად აქვთ მილიონი და მილიარდი ვიზიტი, ისეთები როგორც: Instagram, YouTube, Pinterest, Tumblr, Dropbox, Twitter, Facebook, Amazon, Digg, LinkedIn და სხვა. გარდა ამისა, მსოფლიოს უმსხვილესი პროექტები ასევე ქმნიან ახალ ტექნოლოგიებს, რადგან არსებული მათ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს.

შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ენები:.

- PHP - ძირითადად გამოიყენება მარტივ და საშუალო პროექტებში. აქვს ძალიან ბევრი ე.წ. „ყუთის“ (როდესაც გამოიყენება გარკვეული აწყობილი ტექნოლოგია, რომლის მოდიფიცირება მოითხოვს დიდ ხარჯებსა და შრომას და არის არაეფექტური) გადაწყვეტილება. შედარებით იაფი პროგრამისტების შრომა. ბოლო წლების ანტიტრენდი, თუმცა, მე-7 ვერსიის გამოსვლამ მისცა საკმაოდ მძლავრი შესაძლებლობები;
- Python - თანამედროვე ენა, მასზე მუშაობა სწრაფი და ხარისხიანია. გამოიყენება საშუალო და მსხვილ პროექტებში. პროგრამისტების პოვნა რთულია, მათი სამუშაო დრო ძვირია;
- Ruby - თანამედროვე ენა, მასზეც მუშაობა საკმაოდ სწრაფია. გამოიყენება მარტივ და საშუალო პროექტებში, ძირითადად სტარტ-აპებში. პროგრამისტების რაოდენობა მცირეა, მათი ხელფასი - დიდი;
- Java - მასზე მუშაობა საკმაოდ ხანგრძლივი და ძვირია, ძირითადად გამოიყენება მსხვილ პროექტებში, რომლებსაც სპეციფიური მოთხოვნები გააჩნია;
- C# - Java-ს ანალოგი, ასევე გამოიყენება მსხვილ პროექტებში, ნაწილი FinTech-ის სფეროში.
- JavaScript (JS) - ბოლო წლების ტრენდში ძალიან სწრაფად განვითარებადი ენა. ნამუშევრების უზარმაზარი ბაზა, შესაძლებელია ყველაფრის დაწერა,

თამაშებისაც კი. გამოიყენება საშუალო და მსხვილ პროექტებში, საკმაოდ მძლავრი შესაძლებლობები გვიან მიიღო, ამიტომ მსხვილი პროექტების მაგალითები ჯერ ცოტაა. სპეციალისტები ყველაზე ძვირია და მათი პოვნა ყველაზე რთულია.

2. სამუშაო გარსი (Framework) - ეს არის შემუშავების გარკვეული გარემო მზა წესებითა და ინტერუმენტებით. ერთის მხრივ, ფრეიმვორკი აჩქარებს შემუშავების პროცესს, თუმცა მეორე მხრივ, მას მოჰყვება გარკვეული შეზღუდვები. ფრეიმვორკების დახმარებით იქმნება საშუალო დონის საიტები, რომლებსაც დღეში მილიონობით ვიზიტი აქვთ.

პოპულარული ფრეიმვორკები და პლატფორმები:

1. PHP: Symfony, Laravel
2. Python: Django
3. Ruby: Ruby On Rails
4. Java: Spring
5. C#: .NET
6. JS: Node.js, AngularJS

3. კონტენტის მართვის სისტემა (CMS, Content Management System) - ეს არის მზა გადაწყვეტილება, კონსტრუქტორი, რომელშიც ჩვენ ნაწილებად ვაწყობთ საჭირო პროექტს. მას იმდენად არ აპროგრამებენ, რამდენადაც გამართავენ. არსებობს უამრავი შეზღუდვა, „ყუთის“ ფარგლებს გარეთ რთული და არაეფექტიურია. CMS-ზე იწყობა მარტივი საიტები დღეში მილიონ ვიზიტამდე.

კონტენტის მართვის სამუშაო გარსი (CMF, Content Management Framework), მარტივად რომ ვთქვათ - შესაძლებლობების მხრივ ეს არის რაღაც საშუალო CMS-სა და ფრეიმვორკს შორის. ჩვეულებრივად CMF გამოიყენება ყველაზე რთული საიტების აწყობაში. ეს მიდგომა საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ CMS-ის ზედმეტი ნაწილები, რომლებიც კონკრეტულ პროექტში საჭირო არ არის.

CMS-ის მაგალითები:

1. WordPress - ადრე გამოიყენებოდა მხოლოდ როგორც ძრავი ბლოგების ასაწყობად, დღეს მასზე იქმნება თითქმის ნებისმიერი საიტი, მათ შორის

ონლაინ მაღაზიების საიტებიც კი. ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული CMS მსოფლიოში, აქვს მრავალი ვიზიტის მქონე საიტების მაგალითები (The Obama Foundation, Angry Birds, 99U, Houston Zoo და სხვა²⁹). მასზე ხშირად კეთდება ინფორმაციული საიტები, მათ შორის მედია საიტებიც. სისტემა უფასოა;

2. Joomla! - საერთო დანიშნულების CMS. არ გამოირჩევა ხარისხით, მასზე კეთდება ძალიან პატარა საიტები და ხშირად ალტერნატივებს შორის ყველაზე იაფია, რადგან მასზე იწყებს სწავლას მრავალი მომავალი პროგრამისტი. სისტემა უფასოა;
3. Drupal - ეს არის საერთო დანიშნულების CMS, ბოლო წლებში მას მოჰყვება ჩამწებული ფრეიმვორკი Symfony. საკმაოდ მძლავრია, მასზე შექმნილია მრავალი საიტი, მაგალითად, თეთრი სახლის ოფიციალური საიტი. სისტემა უფასოა;
4. Magento - ინტერნეტ მაღაზიების მართვის ყველაზე პოპულარული სისტემა. საკმაოდ მძლავრი და რთულია. ძირითადად გამოიყენება დასავლეთის ქვეყნებში;
5. PrestaShop - მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული CMS მაღაზიებისთვის. ასევე საკმაოდ მძლავრია, ძირითადად გამოიყენება დასავლეთის ქვეყნებში. სისტემა უფასოა;
6. OpenCart - ინტერნეტ-მაღაზიების მართვის კიდევ ერთი პოპულარული სისტემა, მაგრამ მას უფრო ხშირად იყენებენ რუსეთის ვებ-სივრცეში. გამოიყენება ძირითადად მცირე და მარტივ მაღაზიებში. სისტემა უფასოა;
7. 1С-Битрикс - ძალიან გაპიარებული საერთო დანიშნულების CMS, რუსეთის ვებ-სივრცეში იკავებს პირველ ადგილს. გააჩნია საკმაოდ ფართო შესაძლებლობები. მასზე ხშირად ცდილობენ შექმნან დიდი და რთული საიტები, ხოლო ვიზიტების გარკვეული ნიშნულის შემდეგ გადააკეთებენ სხვა ტექნოლოგიებზე. უმრავლესობა თვლის, რომ მარტო CMS-ს შეუძლია 1С-თან ინტეგრაცია, რაც არ არის მართალი, რადგან ამ სიაში მოყვანილ

²⁹ <https://hostenko.com/wpcafe/inspiration/20-excellent-wordpress-website-examples/> 25.06.2019, 19:53

ყველა CMS-ს შეუძლია 1C-თან ინტეგრაცია, ამისთვის ყველა CMS-ს გააჩნია სპეციალური მოდულები. სისტემა ფასიანია³⁰.

როგორც ვხედავთ, არსებობს ელექტრონული ვაჭრობის განხორციელებისათვის მრავალი ტექნოლოგია. ყველას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ჩვენი ამოცანის გადასაწყვეტად გადავწყვიტეთ გამოვიყენოთ დაპროგრამების ენა C#. ამ მიდგომის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენს კომპანიას აქვს დაწერილი სავაჭრო პროგრამა AS-Trade 7 (შემდგომში - სისტემა). სისტემაც ასევე დაწერილია C# ენაზე და მუშაობს Microsoft SQL Server-ის მონაცემთა ბაზების საფუძველზე. C#-ის გამოყენებით ჩვენ შევქმნით საიტს, რომელიც შეასრულებს 2 ამოცანას:

1. მომხმარებელს მიაწვდის ინფორმაციას საქონლის სიის, ნაშთებისა და გასაყიდი ფასების შესახებ;
2. მონაცემთა ბაზაში შეინახავს ინფორმაციას გაყიდვის შესახებ (ინფორმაცია მყიდველის შესახებ, გაყიდული საქონელი).


³⁰ https://habr.com/ru/company/SECL_GROUP/blog/315734/ 17.06.2019, 20:56

2.3. შპს „აპრიკოტ სოფთვეარ“-ის აღწერა

რადგან ჩვენ ვაპირებთ ელექტრონული ვაჭრობის პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებისა და გამოყენების პროცესის განხილვას შპს „აპრიკოტ სოფთვეარ“-ის მაგალითზე, მოვახდინოთ ამ ფირმის აღწერა.

კომპანია “ აპრიკოტ სოფთვეარ” დაარსდა 2014 წლის მარტში. იგი წარმოადგენს სომხური კომპანიის, “Armenian Software” (“ArmSoft”)-ის ბუღალტრულ, სავაჭრო და სადისტრიბუციო სისტემებს ქართულ ბაზარზე. “ArmSoft”-ი დაარსდა 1987 წელს სომხეთში და არის ერთ-ერთი უძველესი IT კომპანია სომხურ ბაზარზე. მას ჰყავს 10000 კლიენტი და დასაქმებულია 150 თანამშრომელი.

რაც შეეხება კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურას, ის შეგვიძლია წარმოვსახოთ შემდეგნაირად (ცხრილი 2.3.1):



ცხრილი 2.3.1. ორგანიზაციის სტრუქტურა

როგორც ვხედავთ, ყოველ ქვედანაყოფს ჰყავს საკუთარი პროგრამისტები, IT-სპეციალისტები და მხარდაჭერის უზრუნველყოფი გუნდი.

რაც შეეხება „აპრიკოტ სოფთვეარ“-ს, ის წარმოადგენს მცირე და საშუალო ორგანიზაციების ბუღალტერიისა და ვაჭრობის განყოფილებას საქართველოში. პროგრამისტები და IT-სპეციალისტები ორივე კომპანიაში საერთოა (სომხეთის ნაწილი), ხოლო მხარდაჭერაში დასაქმებულები არიან უშუალოდ საქართველოს მოქალაქეები და ისინი ემსახურებიან მხოლოდ ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კლიენტებს.

აქედან გამომდინარე, „აპრიკოტ სოფთვეარ“-ს აქვს დიდი გამოცდილება, იგი სიღრმისეულად ფლობს სფეროს ტექნოლოგიებს და იცის, თუ როგორ გამოიყენოს ეს ტექნოლოგიები საკუთარ სისტემებში.

ამასთან ერთად, კომპანიის მიდგომა არის ასეთი: იგი აწარმოებს და ბაზარს აწვდის სტანდარტულ სისტემას (არ ახდენს კონკრეტული კლიენტისთვის სისტემის ნულიდან აწყობას). თუ კლიენტს გაუჩნდება არსებულ სისტემაში დამატებითი ფუნქციონალის დამატება, ხდება მისი წინადადების განხილვა. თუ ეს ფუნქცია გამოადგება ყველა კლიენტს, მაშინ მისი რეალიზაცია ხდება უშუალოდ სისტემაში და ის ხელმისაწვდომი გახდება უახლოეს განახლებაში. ხოლო თუ მოთხოვნილი ფუნქციონალი სპეციფიკურია და სჭირდება მხოლოდ კონკრეტულ კლიენტს, ამის რეალიზაცია ხორციელდება სისტემისთვის ე.წ. „გაფართოებების“ შემუშავებითა და დანერგვით. გარდა ამისა, იგი დიდ ყურადღებას უთმობს მომსახურებას, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს:

პროგრამული უზრუნველყოფა;

სწავლება;

დანერგვა;

მხარდაჭერა.

2014 წელს კომპანიამ მიიღო მონაწილეობა თბილისში ჩატარებულ GITI ფორუმზე და მოიგო ნომინაციაში „წლის პროგრამული უზრუნველყოფა“ (Software Of The Year).


დღეისთვის კომპანიას ჰყავს 80-ზე მეტი კლიენტი როგორც სავაჭრო, ასევე ბუღალტრულ სფეროებში (დაწყებული სასურსათო მაღაზიებით და დამთავრებული აუდიტორული კომპანიებით) და 10-მდე პარტნიორი კონკრეტულად ბუღალტერიისა და აუდიტის სფეროებში.

რაც შეეხება დასმული ამოცანის პრაქტიკულ რეალიზაციას, აღწეროთ მისი მუშაობის ძირითადი პრინციპი და გზები. ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ 3 ინსტანცია, რომელიც მოქმედებს ვებ-სერვისის ფარგლებში (სურ. 2.3.1):

დამკვეთი (service requestor);

შემსრულებელი (service provider);

კატალოგი (service broker).



სურ. 2.3.1. ურთიერთქმედების ჯაჭვი

მათ შორის ურთიერთქმედების უზრუნველსაყოფად გამოიყენება:

XML: მარკირების გასაფართოებელი ენა, რომლის მიზანს წარმოადგენს სტრუქტურირებული მონაცემების შენახვა და გადაცემა;

SOAP: XML-ის საფუძველზე შეტყობინებების გაცვლის პროტოკოლი;

WSDL: ვებ-სერვისის გარე ინტერფეისების XML-ით აღწერის ენა.

ვებ-სერვისი ხასიათდება ოპერაციების ნაკრებით. ყოველ ოპერაციას შეიძლება გააჩნდეს ვებ-სერვისისთვის რამოდენიმე გადასაცემი პარამეტრი და დასაბრუნებელი მონაცემები.

ვებ-სერვისი უზრუნველყოფს:

- სისტემის მონაცემთა ბაზიდან საუწყისე და პირველადი ინფორმაციის მიღებას, მაგალითად, რომელიმე საწყობში არსებული საქონლის სიის, მათი რაოდენობისა და ფასების ასახვას;
- სისტემის დირექტორიების ელემენტებისა და დოკუმენტების წაკითხვა და ჩაწერა. მაგალითად, ახალი საქონლის დამატება ან გაყიდვის დოკუმენტის შექმნა.

თავი 3. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება და დანერგვა

განვიხილოთ ელექტრონული ვაჭრობის პროცესი პირობითი ობიექტის - შპს სხივი-ს მაგალითზე. ამ პროცესს დავყოფთ 3 ნაწილად: სისტემის სრული გამართვა და საიტის შექმნა, მისი სატესტო გამოყენება და შედეგების საფუძველზე კომპანიის განვითარების მომავალი ღონისძიებების განსაზღვრა.

3.1. პროგრამული გარემოს მომზადება (სერვერის გამართვა და საიტის აწყობა)


იმისათვის, რომ საიტმა კორექტულად იმუშაოს, ჩვენ უნდა შევქმნათ მონაცემთა ბაზა, რომელიც მოგვაწვდის და მიიღებს შემდეგ ინფორმაციას:

მყიდველისთვის - საქონლის დასახელება, ფასი, მისამართი, ელ. ფოსტა, ტელეფონის ნომერი, ბარათის ნომერი, გამოყენების ვადა და CVC კოდი (ინფორმაცია ბარათის შესახებ სისტემაში არ შეინახება, გამოიყენება მხოლოდ თანხის მოხსნისთვის);

მაღაზიისთვის - ინფორმაცია გაყიდვის შესახებ, ნაშთების კონტროლი, გაყიდვების ანალიზის, ყველაზე გაყიდვადი საქონლის ანალიზის, საქონლის მიხედვით ABC ანალიზის გამოძახება, შესწავლა და შედეგებიდან გამომდინარე, მაღაზიის განვითარების შემდეგი ნაბიჯის განსაზღვრა.

სერვერზე ყენდება Microsoft SQL Server და სავაჭრო სისტემა AS-Trade 7. SQL Server-ის დაყენების პროცესი მარტივია, ამიტომ მის განხილვას დიდ დროს არ დავუთმობთ. გადავიდეთ AS-Trade-ზე და დავიწყოთ ბაზის შექმნა:


1. პირველ რიგში, ვქმნით ახალ მონაცემთა ბაზას. ამისთვის პროგრამაში გადავდივართ ქვესისტემაში ადმინისტრატორის ინსტრუმენტები, შევდივართ მონაცემთა ბაზებში და ვაჭერთ ღილაკს დამატება (სურ. 3.1.1):



სურ. 3.1.1. ახალი მონაცემთა ბაზის დამატება

დავარქვათ ბაზას Shop. სისტემაში არის 2 მომხმარებელი: ADMIN - მენეჯერი (დირექტორი), რომელსაც ყველაფრის უფლება აქვს და USER - ვებ-გვერდის მომხმარებელი, რომელიც პროგრამის მხრიდან შექმნის მხოლოდ გაყიდვებს.

2. გავწეროთ ორგანიზაციის რეკვიზიტები (სურ. 3.1.2):



სურ. 3.1.2. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

3. დავამატოთ საწყობი (მაღაზია) და საბანკო ანგარიში (სურ. 3.1.3 და 3.1.4):

საწყობი (მაღაზია)(ახალი)

* კოდი 01

* დასახელება მაღაზია

საწყობის გამგე

მისამართი ქ. თბილისი, ნუცუბიძის ქ N20

საცალო

ძირითადი

Ok უარი

სურ. 3.1.3. საწყობის დამატება

ანგარიში ბანკში(ახალი)

* კოდი 01

* ანგარიში ბანკში GE15TB9563214587459658

* დასახელება თბილისი ბანკი


რიგითი საგ.დაგ.-თვის 01/0001

ძირითადი

Ok უარი

სურ. 3.1.4. ბანკის ანგარიშის დამატება

4. დავამატოთ საქონელი. ამის გაკეთება შეიძლება ორნაირად: პროგრამიდან (სურ. 3.1.5) ან, თუ საქმე გვაქვს საქონლის დიდ სიასთან, შეგვიძლია ის ავტვირთოთ წინასწარ გამზადებული ექსელის ფორმით (სურ. 3.1.6):




სურ. 3.1.5. საქონლის სიის დამატება პროგრამიდან


კოდი	დასახელება	ტიპი	ჯგუფი	ძირითადი საზომი ერთეული	მასისათვის	აღრიცხვის მეთოდი	შტრიხ კოდი	დღგ	პრეისკურანტებში ჩვენება	ასაწონი	ქვეყანა
1001	Samsung Galaxy J7 Prime	1	100	001		3			1	1	0
1002	Samsung Galaxy J5 Prime	1	100	001		3			1	1	0
1003	Samsung Galaxy A8 (2016)	1	100	001		3			1	1	0
1004	Samsung Galaxy C9 Pro	1	100	001		3			1	1	0
1005	Samsung Galaxy A3 (2017)	1	100	001		3			1	1	0
1006	Samsung Galaxy A5 (2017)	1	100	001		3			1	1	0
1007	Samsung Galaxy A7 (2017)	1	100	001		3			1	1	0
1008	Samsung Galaxy C7 Pro	1	100	001		3			1	1	0
1009	Samsung Galaxy C5 Pro	1	100	001		3			1	1	0
1010	Samsung Galaxy S8	1	100	001		3			1	1	0
1011	Samsung Galaxy S8+	1	100	001		3			1	1	0
1012	Samsung Galaxy J3 (2017)	1	100	001		3			1	1	0
1013	Samsung Galaxy J5 (2017)	1	100	001		3			1	1	0
1014	Samsung Galaxy J7 (2017)	1	100	001		3			1	1	0
1015	Samsung Galaxy A6	1	100	001		3			1	1	0
1016	Samsung Galaxy J6	1	100	001		3			1	1	0
1017	Samsung Galaxy A8 (2018)	1	100	001		3			1	1	0
1018	Samsung Galaxy S9	1	100	001		3			1	1	0
1019	Samsung Galaxy S9+	1	100	001		3			1	1	0
1020	Samsung Galaxy J8	1	100	001		3			1	1	0

სურ. 3.1.6. საქონლის სიის ჩატვირთვა ექსელიდან

5. შევიტანოთ ნაშთი მაღაზიაში. ამისთვის შევქმნათ საწყობის შემოსავლის ორდერი. საქონლის სიის ანალოგიურად, შესაძლებელია მისი როგორც პროგრამაში ხელით შევსება (სურ. 3.1.7), ასევე ექსელის ფორმიდან ჩატვირთვა (სურ. 3.1.8):



სურ. 3.1.7. საწყისი ნაშთის შეტანა პროგრამიდან



სურ. 3.1.8. საწყისი ნაშთის შეტანა ექსელის ფორმის გამოყენებით

6. შევამოწმოთ, რომ გაყიდვისთვის საჭირო ინფორმაცია არის პროგრამაში. ამისთვის გავხსნათ საქონლის ნაშთი (სურ. 3.1.9):


კოდი	დისახელბა	საბოძო ერთეული	რაოდენობა	გასაყიდი - GEL (დღგ-ს წ...	გასაყიდი თანხა - GEL (დ...
1001	Samsung Galaxy J7 Prime	ცა	32.0000	499.0000	15,968.0000
1002	Samsung Galaxy J5 Prime	ცა	40.0000	399.0000	15,960.0000
1003	Samsung Galaxy A8 (2016)	ცა	38.0000	999.0000	37,962.0000
1004	Samsung Galaxy C9 Pro	ცა	28.0000	1,049.0000	29,372.0000
1005	Samsung Galaxy A3 (2017)	ცა	33.0000	349.0000	11,517.0000
1006	Samsung Galaxy A5 (2017)	ცა	38.0000	479.0000	18,202.0000
1007	Samsung Galaxy A7 (2017)	ცა	37.0000	599.0000	22,163.0000
1008	Samsung Galaxy C7 Pro	ცა	38.0000	899.0000	34,162.0000
1009	Samsung Galaxy C5 Pro	ცა	26.0000	749.0000	19,474.0000
1010	Samsung Galaxy S8	ცა	36.0000	1,249.0000	44,964.0000
1011	Samsung Galaxy S8+	ცა	38.0000	1,349.0000	51,262.0000
1012	Samsung Galaxy J3 (2017)	ცა	22.0000	379.0000	8,338.0000
1013	Samsung Galaxy J5 (2017)	ცა	25.0000	349.0000	8,725.0000
1014	Samsung Galaxy J7 (2017)	ცა	27.0000	399.0000	10,773.0000
1015	Samsung Galaxy A6	ცა	25.0000	649.0000	16,225.0000
1016	Samsung Galaxy J6	ცა	32.0000	439.0000	14,048.0000
1017	Samsung Galaxy A8 (2018)	ცა	35.0000	899.0000	31,465.0000
1018	Samsung Galaxy S9	ცა	30.0000	1,699.0000	50,970.0000
1019	Samsung Galaxy S9+	ცა	24.0000	1,899.0000	45,576.0000
1020	Samsung Galaxy J8	ცა	33.0000	599.0000	19,767.0000
1021	Samsung Galaxy Note 9	ცა	21.0000	2,199.0000	46,179.0000
1022	Samsung Galaxy A7 (2018)	ცა	29.0000	749.0000	21,721.0000
1023	Samsung Galaxy A9 (2018)	ცა	21.0000	1,299.0000	27,279.0000
1024	Samsung Galaxy A8s	ცა	24.0000	1,399.0000	33,576.0000
1025	Samsung Galaxy S10e	ცა	22.0000	2,199.0000	48,378.0000
1026	Samsung Galaxy S10	ცა	31.0000	2,599.0000	80,569.0000
			0.0000	0.0000	0.0000
			2,115.0000	2,597,285.0000	

სურ. 3.1.9. საქონლის ნაშთის უწყისი გვაძლევს ინფორმაციას არსებული საქონლის რაოდენობისა და გასაყიდი ფასის შესახებ.


სერვერის მხარე მზადაა, შეგვიძლია გადავიდეთ ვებ-სერვისისა და ვებ-გვერდის გამართვაზე.

მთავარ კომპიუტერზე (სერვერზე) უნდა იყოს ჩართული და გამართული ოპერაციული სისტემა Windows-ში ჩაშენებული მოდული, რომელსაც ჰქვია IIS (Internet Information Services). განვიხილოთ ეს პროცესი:

პირველ რიგში, გადავდივართ Control Panel → Programs and Features → Turn Windows features on or off და ვნიშნავთ შემდეგ პუნქტებს (სურ. 3.1.10 და 3.1.11):




სურ. 3.1.10. სერვერზე IIS-ის ჩართვა



სურ. 3.1.11. სერვერზე IIS-ის ჩართვა


ვაჭერთ OK და ველოდებით ცვლილებების ამუშავებას.

ვხსნით Internet Information Service (IIS) Manager. ვხსნით Sites → Default Web Site, და მარჯვენა ღილაკით ვირჩევთ Add Application. გამოვა ფანჯარა, რომელშიც უნდა მივუთითოთ შემდეგი ინფორმაცია: დასახელება და ფიზიკური მისამართი სერვერზე (სურ. 3.1.12):




სურ. 3.1.12. სერვერის დასახელებისა და ფიზიკური მისამართის მითითება

პროგრამის საქალაქდებში ვხსნით ფაილს Web.config. აქ უნდა გავწეროთ სერვერის მისამართი და მონაცემთა ბაზის დასახელება (სურ. 3.1.13):




სურ. 3.1.13. Web.config-ში მონაცემთა ბაზის მისამართისა და დასახელების მითითება

ბოლოს ვამოწმებთ შექმნილი სერვისის მუშაობის უნარს. ამისთვის მარცხენა მხარეს ვდგებით Trade-ზე, შემდეგ ფანჯარა გადაგვყავს რეჟიმში Content view, ვდგებით ფაილზე TradeService.svc მარჯვენა ღილაკით და ვირჩევთ ბრძანებას Browse... (სურ. 3.1.14):



სურ. 3.1.14. სერვისის საცდელი ჩართვა

თუ ყველაფერი სწორადაა გაკეთებული, გაიხსნება ინტერნეტ ბრაუზერი და გამოვა ასეთი ფანჯარა (სურ. 3.1.15):



სურ. 3.1.15. საცდელი ჩართვის წარმატების შემთხვევაში გამოსული ფანჯარა ვებ ბრაუზერში

სერვერი მზადაა, შეგვიძლია გადავიდეთ ვებ ნაწილის გამართვაზე.

შემდეგ ეტაპს წარმოადგენს ვებ-გვერდის გამართვა. ამისთვის გამოიყენება კომპანია Microsoft-ის მიერ შემუშავებული ტექნოლოგია ASP.NET. მისი უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ ერთ პროექტში შესაძლებელია როგორც კლიენტ-სერვერული ნაწილის (გამოიყენება დაპროგრამების ენა C#), ასევე ვებ ნაწილის (გამოიყენება HTML და CSS) კოდის დაწერა. ამ მომენტზე ყურადღებას დიდად არ გავამახვილებთ, აღვნიშნავთ მარტო საკვანძო მომენტებს, რომელთა მეშვეობით ხდება ვებ-გვერდის მბმს-თან დაკავშირება.

ამ ეტაპზე ჩვენ გამოვიყენებთ კომპანია „აპრიკოტ სოფთვეარ“-ის მიერ შემუშავებულ სადემონსტრაციო ვებ-გვერდს (რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან საჭირო ცვლილებების შეტანით). გავხსნათ პროექტის შაბლონი და დავარედაქტიროთ რამოდენიმე ფაილი:

1. ფაილში Web.config უნდა გაიწეროს მონაცემთა ბაზასთან დაკავშირების სტრიქონი და საიტის IP მისამართი:

```
<connectionStrings>
  <add name="DefaultConnection" connectionString="Data
Source=(local)\sqlexpress;Initial Catalog=TradeService;User
```

```
ID=sa;Password=SaSa111;MultipleActiveResultSets=true"
providerName="System.Data.SqlClient" />
</connectionStrings>
```

სადაც (local)\sqlexpress - მონაცემთა ბაზის მისამართი,

User ID და Password – SQL Server-ის მომხმარებლის სახელი და პაროლი:

```
<client>
  <endpoint address="http://localhost/TradeService/TradeService.svc"
    binding="basicHttpBinding"
    bindingConfiguration="BasicHttpBinding_ITradeService"
    contract="TradeService.ITradeService"
name="BasicHttpBinding_ITradeService" />
</client>
```

რადგანაც ვებ-გვერდს ვამუშავებთ ლოკალურ კომპიუტერზე, ამიტომ მისამართში IP-ის ნაცვლად დავწერთ localhost.

2. ფაილში TradeServiceWrapper.cs ვხედავთ შემდეგს:

```
client.Open();
var sessionId = client.StartSession("USER", "", "Shop", "");
int seqNumber = 1;
ChunkedResultOfGoodAvailabilityRow chunk =
client.GetProductRems(sessionId, seqNumber, DateTime.Today, "", "", "02");
result.AddRange(chunk.Rows.ToProductRems());
seqNumber += 1;
while (chunk.Offset + chunk.Rows.Count() < chunk.Total)
{
    chunk = client.GetProductRemsNextChunk(sessionId, seqNumber);
    result.AddRange(chunk.Rows.ToProductRems());
    seqNumber += 1;
}
client.StopSession(sessionId);
```

აქ ჩვენ ვუთითებთ მონაცემთა ბაზასთან ურთიერთქმედებისთვის საჭირო მონაცემებს: მომხმარებლის სახელს (USER), პაროლს (მოცემულ მომხმარებელს პაროლი არ აქვს, ამიტომ ვწერთ ცარიელ ბრჭყალებს), მონაცემთა ბაზის სახელს (Shop) და ინტერფეისის ენას (თუ ბრჭყალებში არაფერს დავწერთ, გამოიყენება ძირითადი ენა - ქართული).

ასევე ვუთითებთ, რა დროისთვის წამოიღოს ინფორმაცია (DateTime.Today ნიშნავს, რომ საიტზე გამოჩნდება უახლესი ინფორმაცია), და რა ფასის ტიპი იყოს

გამოყენებული (სისტემაში 02 კოდით ინახება საქონლის სტანდარტული გასაყიდი ფასები).

3. გავამზადოთ კლასი, რომელიც შეინახავს ინფორმაციას შეძენის შესახებ და გადასცემს მას პროგრამას:


```
public string ItemCode { get; set; }  
public string Qty { get; set; }  
public string Customer { get; set; }  
public string Address { get; set; }  
public string EMail { get; set; }  
public string PhoneNumber { get; set; }
```

სერვერს გადაეცემა შემდეგი ინფორმაცია: პროდუქტის კოდი, რაოდენობა, მყიდველის მისამართი, ელ. ფოსტა და ტელეფონის ნომერი.


4. და ბოლოს, ბრძანება, რომელიც ინახავს მონაცემებს შეძენის შესახებ მონაცემთა ბაზაში და ქმნის სისტემაში რეალიზაციის (გაყიდვის) დოკუმენტს:

```
client.Open();  
var sessionId = client.StartSession("USER", "", "Shop", "");  
int seqNumber = 1;  
var docInfo = new CreateInvoiceGEDocInfo();  
docInfo.Specification = new InvoiceSpecificationRow[] { new  
InvoiceSpecificationRow() { ItemCode = purchase.ItemCode, UnitCode=purchase.Unit,  
Price = purchase.PriceByPriceType("02"), Quantity = purchase.Qty, StorageCode="01",  
Address = purchase.Address, PhoneNumber = purchase.PhoneNumber} };  
Guid ISN = client.CreateSaleGEDoc(sessionId, seqNumber,  
docInfo.Specification);  
client.StopSession(sessionId);
```


ვნახოთ, როგორ გამოიყურება ჩვენი შექმნილი ვებ-გვერდი (სურ. 3.1.16, 3.1.17, 3.1.18):



სურ. 3.1.16. პროდუქციის სია




სურ. 3.1.17. შეძენის ფანჯარა



სურ. 3.1.18. შექმნის დასრულების ფანჯარა

პროგრამაში ეს ინფორმაცია გამოიყურება შემდეგნაირად (სურ 3.1.19, 3.1.20):



სურ. 3.1.19. გაყიდვის ფანჯარა

Shop - პარტნიორი(რედაქტირება)

მთავარი დანართი ... სხვა

* კოდი 00000001

საიდენტიფიკაციო N

* დასახელება ალექსანდრე პეტროსიანი

სრული დასახელება ალექსანდრე პეტროსიანი

ჯგუფი 02 კლიენტები

ზოგადი ხელშეკრულებები ანგარიშები ბანკში დამატებითი მისამართები

მომწოდებელი

მყიდველი

უცხო ქვეყნის მოქალაქე

იურიდიული მისამართი

ფაქტ. მისამართი თბილისი, ქიზიყის ქ. 7ბ, ბინა 15

ტელეფონის ნომერი 555656378

ელ-ფოსტა alex.petrosian9@gmail.com

მენეჯერის ს.გ.

მენეჯერის თანამდებობა

ბულალტრის ს.გ.

რეგისტრირებული

სურ. 3.1.20. ინფორმაცია მყიდველის შესახებ

3.2. შემუშავებული სისტემის რეალიზაცია

მოცემული სისტემის გამოყენება საშუალებას გვაძლევს გარკვეული პერიოდის შემდეგ განვიხილოთ მაღაზიის საქმიანობა და ჩავატაროთ შესაბამისი ღონისძიებები. ამისთვის შევვებით რამოდენიმე უწყისს და პროგრამის ქვესისტემას, რომელსაც ჰქვია ანალიზი. ანალიზში არსებული უწყისები გათვალისწინებულია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის ძირითადი მაჩვენებლების შესახებ ანალიტიკური უწყისების და დიაგრამების მიღებისთვის.

ჩვენ შემთხვევაში გადავხედავთ სხვადასხვა უწყისებს აწყობაზე და მივიღებთ შემდეგ ინფორმაციას:

- გაყიდვების ანალიზი - უწყისი გათვალისწინებულია ორგანიზაციის გაყიდვების ანალიზისთვის. უწყისში ჩანს გაყიდვების თვითღირებულებები, გაყიდვების თანხები და გაყიდვიდან მიღებული მოგებები/ზარალები: თანხობრივი და პროცენტული ასახვით³¹:
- ყველაზე გაყიდვადი ერთეულები - უწყისი გათვალისწინებულია ყველა კარგად გაყიდვადი საქონლის ან მომსახურების შესახებ ანალიტიკური ინფორმაციის მისაღებად. ინფორმაციის მიღება შეიძლება შემდეგი პარამეტრების მიხედვით:
 - რაოდენობის მიხედვით;
 - შემოსავლის მიხედვით;
 - მოგების მიხედვით;
 - პროცენტული მოგების მიხედვით³².
- საქონლის მიხედვით გაყიდვების ABC ანალიზი - უწყისი გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ ორგანიზაციისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსები მთლიანი გაყიდვების ან მთლიანი მოგების კუთხიდან. ABC ანალიზის მიზანს წარმოადგენს მოგებასა და გაყიდვებში რესურსების წილის მარტივი, მოსახერხებელი და ინტუიტიური კლასიფიკაცია.

³¹ http://online.apricot.ge/trade7/index.html?sales_reports_salesanalysis.htm

³² http://online.apricot.ge/trade7/index.html?sales_reports_salesanalysis.htm

ანალიზი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ არამომგებიანი ან ნაკლებად მომგებიანი საქონელთა ჯგუფები, რათა დროულად გავაუმჯობესოთ და მოვახდინოთ მათი ოპტიმიზაცია.

ABC ანალიზის საფუძველია "პარეტო ეფექტიანობის კანონი" - ძალისხმევის 20% იძლევა შედეგის 80%-ს.

ABC ანალიზის პრინციპის მიხედვით რესურსები დაყოფილია 3 ჯგუფად: A, B, C.

- A ჯგუფი უზრუნველყოფს მოგების 80%-ს და როგორც წესი, შეადგენს მთლიანი რესურსების 15-20%-ს.
- B ჯგუფი უზრუნველყოფს მოგების 15 %-ს და ძირითადად შეადგენს მთლიანი რესურსების 20-35%-ს.
- C ჯგუფი უზრუნველყოფს მოგების 5 %-ს და ძირითადად შეადგეს მთლიანი რესურსების 50-60%-ს³³.

ამ ჯგუფების ზღვარი თითოეული კომპანიისთვის ინდივიდუალურია და შესაძლებელია შეიცვალოს.

და ბოლოს, ამ უწყისების შედეგებზე დაყრდნობით შევადგენთ კითხვარს და არსებულ მყიდველებს შორის ჩავატარებთ გამოკითხვას. გამოკითხვის მიზანი იქნება გამოვავლინოთ როგორც ზოგადი ინფორმაცია (მომსახურების ხარისხი, პროდუქციის ხარისხი, ფასები, ასორტიმენტი), ასევე კონკრეტული ინფორმაცია ცუდად გაყიდვადი საქონლის შესახებ.

³³ http://online.apricot.ge/trade7/index.html?hm_trade_reports_analysis_abc_goods.htm

3.3. უწყისების აწყობა და ანალიზი

სატესტო სისტემა ვამუშავეთ 1 თვის განმავლობაში (2019 წლის 1-30 აპრილი). ამ პერიოდში მოხდა მყიდველთა ბაზის შექმნა (სულ 115 მყიდველი) და მათ მიერ საქონლის შესყიდვების განხორციელება.

აპრილის თვეში განხორციელდა 350 ოპერაცია (სურ 3.3.1):

თარიღი	დოკუმენტის N	ტიპი	ვალუტა	თანხა	საწარმო	პარტნიორის დასახელება
01/04/19	00001	გაყიდვები	GEL	2,899.00	მაღაზია	ალექსანდრე პეტროსიანი
01/04/19	00002	გაყიდვები	GEL	798.00	მაღაზია	მუხრან გოგიტიძე
01/04/19	00003	გაყიდვები	GEL	209.00	მაღაზია	მაია ცერცვაძე
01/04/19	00004	გაყიდვები	GEL	1,099.00	მაღაზია	გიორგი ფეხვაშვილი
01/04/19	00005	გაყიდვები	GEL	1,399.00	მაღაზია	დალი მჭედლიძე
01/04/19	00006	გაყიდვები	GEL	19.00	მაღაზია	ნათო ნარიშკინიძე
01/04/19	00007	გაყიდვები	GEL	1,508.00	მაღაზია	ეკატერინე მიქელიძე
01/04/19	00008	გაყიდვები	GEL	1,799.00	მაღაზია	რატი ცხელიძე
01/04/19	00009	გაყიდვები	GEL	38.00	მაღაზია	თამარი გაგელიძე
01/04/19	00010	გაყიდვები	GEL	195.00	მაღაზია	ანელიკა ბერიძე
02/04/19	00011	გაყიდვები	GEL	469.00	მაღაზია	ნანა კარუყაშვილი
02/04/19	00012	გაყიდვები	GEL	988.00	მაღაზია	თამარ მისუჩაძე
02/04/19	00013	გაყიდვები	GEL	39.00	მაღაზია	გიორგი დულაშვილი
02/04/19	00014	გაყიდვები	GEL	749.00	მაღაზია	ლამა საფარიძე
02/04/19	00015	გაყიდვები	GEL	95.00	მაღაზია	ნელი აბულაძე
02/04/19	00016	გაყიდვები	GEL	228.00	მაღაზია	დალი მჭედლიძე
02/04/19	00017	გაყიდვები	GEL	304.00	მაღაზია	ირაკლი შავგულიძე
02/04/19	00018	გაყიდვები	GEL	2,329.00	მაღაზია	დავით ფუტყარაძე
02/04/19	00019	გაყიდვები	GEL	150.00	მაღაზია	ავთანდილ ბოლქვაძე
02/04/19	00020	გაყიდვები	GEL	78.00	მაღაზია	თამარ ბარათაშვილი
02/04/19	00021	გაყიდვები	GEL	475.00	მაღაზია	ირაკლი ბაკაძე
03/04/19	00022	გაყიდვები	GEL	1,349.00	მაღაზია	სერგო თაბაშვილი
03/04/19	00023	გაყიდვები	GEL	1,349.00	მაღაზია	ლამა ციციძე
03/04/19	00024	გაყიდვები	GEL	979.00	მაღაზია	ციცია კანუყაშვილი
03/04/19	00025	გაყიდვები	GEL	1,399.00	მაღაზია	ნანა ბორცვაძე
03/04/19	00026	გაყიდვები	GEL	2,099.00	მაღაზია	ირაკლი შავგულიძე
03/04/19	00027	გაყიდვები	GEL	924.00	მაღაზია	თეიმურაზი ღარიბაშვილი
				0.00		
				234,574.00		

სურ. 3.3.1. გაყიდვების დოკუმენტების ჟურნალი. პერიოდი: 01.04.2019-30.04.2019

გაყიდვების ანალიზი გვაძლევს შემდეგ ინფორმაციას (სურ. 3.3.2):

Shop - AS-Trade 7.0.11

თარღები: 01/04/19 - 30/04/19

თარიღი	დოკუმენტის N	დასახელება	დასახელება	რაოდენობა	თვითღირებულება ლარში (დღგ-ს ჩათვლით)	გაყიდვის ჯამი (დღგ-ს ჩათვლით)	მოგება ლარში (დღგ-ს ჩათვლით)
01/04/19	00001	Samsung Galaxy S10+	ალექსანდრე ჰეროსიანი	1.0000	2,415.84	2,899.00	483.16
01/04/19	00002	Hoco Colored and Graceful Series Occupation of Georgia Xiao...	მუხრან გოგიტიძე	42.0000	588.00	798.00	210.00
01/04/19	00003	Hoco Colored and Graceful Series All Blacks Samsung G965 G...	მაია ცერცვაძე	11.0000	154.00	209.00	55.00
01/04/19	00004	Xiaomi Mi9 SE	გიორგი ყველაშვილი	1.0000	915.84	1,099.00	183.16
01/04/19	00005	OnePlus 5t	დადი მჭედლიძე	1.0000	1,165.84	1,399.00	233.16
01/04/19	00006	Hoco Colored and Graceful Series Real Madrid Xiaomi Redmi S2	ნათო ნარბაიანიშვილი	1.0000	14.00	19.00	5.00
01/04/19	00007	Glass Pro+ Tempered Glass Samsung C5000 Galaxy C5 Trans...	ეკატერინე მიქელაძე	52.0000	1,144.00	1,508.00	364.00
01/04/19	00008	Huawei P20 pro	რამი ევუიძე	1.0000	1,499.17	1,799.00	299.83
01/04/19	00009	Hoco Colored and Graceful Series Sherlocked Huawei P8 Lite...	თამარ გაგელიძე	2.0000	28.00	38.00	10.00
01/04/19	00010	Remax Data Cable Knight Lightning RC-043i 1000mm black	ანვლია ბერიძე	13.0000	143.00	195.00	52.00
02/04/19	00011	Huawei P10 Lite	ნანა განუშავილი	1.0000	390.84	469.00	78.16
02/04/19	00012	Hoco Colored and Graceful Series Barcelona Huawei P20 Lite	თამარ მასურაძე	52.0000	728.00	988.00	260.00
02/04/19	00013	Huawei Power bank 10000mAh Quick Charge Version white	გიორგი დუღაშვილი	1.0000	30.00	39.00	9.00
02/04/19	00014	Samsung Galaxy A7 (2018)	ლაზო საფარიძე	1.0000	624.17	749.00	124.83
02/04/19	00015	Hoco Colored and Graceful Series Bayern Xiaomi Mi A2	ნელი აბუღაძე	5.0000	70.00	95.00	25.00
02/04/19	00016	Hoco Colored and Graceful Series Sherlocked Xiaomi Redmi S2	დადი მჭედლიძე	12.0000	168.00	228.00	60.00
02/04/19	00017	Hoco Colored and Graceful Series Real Madrid Apple iPhone 6/...	ირაკლი მაგვლიძე	16.0000	224.00	304.00	80.00
02/04/19	00018	OnePlus 7	დავით ფუტყარაძე	1.0000	1,665.84	1,999.00	333.16
02/04/19	00018	Hoco Benay One Pull Three Cable U31 red	დავით ფუტყარაძე	22.0000	242.00	330.00	88.00
02/04/19	00019	Remax Data Cable Knight Lightning RC-043i 1000mm black	ანვლია ბოლქვაძე	10.0000	110.00	150.00	40.00
02/04/19	00020	Huawei 5000mAh Power bank black	თამარ ბარათაშვილი	2.0000	60.00	78.00	18.00
02/04/19	00021	Hoco Colored and Graceful Series Chokha Xiaomi Redmi 5 Plus	ირაკლი ბაკაძე	25.0000	350.00	475.00	125.00
03/04/19	00022	Honor Magic 2	სერგო თაბუაშვილი	1.0000	1,124.17	1,349.00	224.83
03/04/19	00023	Samsung Galaxy S8+	ლაზო ციციძე	1.0000	1,124.17	1,349.00	224.83
03/04/19	00024	Baseus Full Screen Bracket Wireless Charge Powe...	ციცი ბანუაშვილი	11.0000	748.00	979.00	231.00
03/04/19	00025	OnePlus 5t	ნანა ბორცვაძე	1.0000	1,165.84	1,399.00	233.16
03/04/19	00026	Inhonne R Plus	ირაკლი შაივალიძე	1.0000	1,749.17	2,099.00	349.83
				0.0000	0.00	0.00	0.00
				5,343.0000	185,363.22	234,574.00	49,210.78

1/375 | მონიშნულია 0 სტრიქონი | მას სხვა | ADMIN | ს.ა. 01/01/19 - 31/12/19 | სანდოების თარიღი - 01/08/19 | სადემონსტრაციო ვერსია

სურ. 3.3.2. გაყიდვების ანალიზი. პერიოდი: 01.04.2019-30.04.2019


აქედან შეგვიძლია ვნახოთ, რომ 1 თვის განმავლობაში გაიყიდა 185,363.22 ლარის თვითღირებულების საქონელი, გაყიდვების ჯამი (დღგ-ის ჩათვლით) შეადგენს 234,574.00 ლარს, ხოლო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი (დღგ-ის ჩათვლით) შეადგენს 49,210.78 ლარს.

დღიური შემოსავლის ნახვისთვის გავხსნათ ქვესისტემაში „ანალიზი“ არსებული უწყისი, რომელსაც ჰქვია გაყიდვები. ის მოგვცემს ინფორმაციას როგორც ცხრილის სახით, ასევე მის გრაფიკულ წარმოსახვას (ცხრილი 3.3.1, დიაგრამა 3.3.1):

გაყიდვები 01/04/19 - 30/04/19			
ლარში (დღგ-ს ჩათვლით)			
თარიღი	თვითღირებულება	შემოსავალი	მოგება
01/04/19	8 067,69	9 963,00	1 895,31
02/04/19	4 662,85	5 904,00	1 241,15
03/04/19	9 383,35	11 803,00	2 419,65
04/04/19	6 992,35	8 641,00	1 648,65

05/04/19	4 663,68	5 971,00	1 307,32
06/04/19	9 295,02	11 748,00	2 452,98
07/04/19	7 207,52	8 911,00	1 703,48
08/04/19	6 337,34	8 093,00	1 755,66
09/04/19	5 130,17	6 734,00	1 603,83
10/04/19	5 788,34	7 296,00	1 507,66
11/04/19	8 876,19	11 127,00	2 250,81
12/04/19	7 684,86	9 684,00	1 999,14
13/04/19	5 492,34	7 161,00	1 668,66
14/04/19	3 073,84	3 891,00	817,16
15/04/19	5 261,18	6 651,00	1 389,82
16/04/19	6 867,35	8 628,00	1 760,65
17/04/19	6 568,01	8 547,00	1 978,99
18/04/19	5 056,68	6 414,00	1 357,32
19/04/19	3 718,00	4 643,00	925,00
20/04/19	6 641,85	8 297,00	1 655,15
21/04/19	5 343,34	6 899,00	1 555,66
22/04/19	4 568,34	5 813,00	1 244,66
23/04/19	6 323,01	8 041,00	1 717,99
24/04/19	6 827,68	8 553,00	1 725,32
25/04/19	6 812,35	8 676,00	1 863,65
26/04/19	6 404,18	8 025,00	1 620,82
27/04/19	5 590,52	7 000,00	1 409,48
28/04/19	4 924,34	6 363,00	1 438,66
29/04/19	5 764,51	7 350,00	1 585,49
30/04/19	6 036,34	7 747,00	1 710,66

ცხრილი 3.3.1. გაყიდვების შედეგები დღეების მიხედვით (ცხრილის სახით)



დიაგრამა 3.3.1. გაყიდვების შედეგები დღეების მიხედვით (დიაგრამის სახით)


ახლა ვნახოთ უწყისის „ყველაზე გაყიდვადი ერთეულები“. ოთხივე ვარიანტში უწყისის გამოძახებისას ავირჩევთ ტიპს დღგ-ის ჩათვლით. ასევე შეგვიძლია ავირჩიოთ, თუ რამდენი საქონელი გამოვა ამ დიაგრამაზე. ავირჩიოთ საუკეთესო 10 პოზიცია (ცხრილი 3.3.2, დიაგრამა 3.3.2):

1. რაოდენობის მიხედვით:

ყველაზე გაყიდვადი ერთეულები 01/04/19 - 30/04/19 (საუკეთესო 10)		
კოდი	დასახელება	რაოდენობა
9170	Remax Full Speed Series Cable Apple 1000mm white	96
9171	Baseus Kevlar Cable USB For Type-C 2A 2M CATKLF-CG1 grey/black	92
9139	Baseus Sharp Micro USB to Type-C Adapter CATYPEC-DL0V gold	90
9090	Hoco Colored and Graceful Series All Blacks Samsung J530 Galaxy J5 2017	88
9130	Remax Data Cable Emperor Lightning RC-054i 1000mm silver	86
9038	Glass Pro+ Tempered Glass Xiaomi Mi 8 Transparent	70
9025	Glass Pro+ Tempered Glass Samsung A730 Galaxy A8+ 2018 Transparent	68
9142	Anker Powerline+ Micro USB 0.9m A8142 gold	68
9028	Glass Pro+ Tempered Glass Huawei Y5 III	66

9103	Hoco Colored and Graceful Series Barcelona Samsung G965 Galaxy S9+	66
------	--------------------------------------------------------------------	----

ცხრილი 3.3.2. ყველაზე გაყიდვადი ერთეულები (რაოდენობის მიხედვით, საუკეთესო 10)




დიაგრამა 3.3.2. ყველაზე გაყიდვადი ერთეულები (რაოდენობის მიხედვით, საუკეთესო 10)

2. შემოსავლის მიხედვით (ცხრილი 3.3.3, დიაგრამა 3.3.3):

ყველაზე გაყიდვადი ერთეულები 01/04/19 - 30/04/19		
ლარში (დღგ-ს ჩათვლით)		
(საუკეთესო 10)		
კოდი	დასახელება	შემოსავალი
2012	Iphone Xr	6 987,00
5005	OnePlus 7	5 997,00
1027	Samsung Galaxy S10+	5 798,00
2008	Iphone 8 Plus	4 198,00
1024	Samsung Galaxy A8s	4 197,00
3010	Honor Magic 2	4 047,00
3006	Huawei P30	3 998,00
2011	Iphone Xs max	3 599,00
5004	OnePlus 6t	3 598,00
1008	Samsung Galaxy C7 Pro	3 596,00

ცხრილი 3.3.3. ყველაზე გაყიდვადი ერთეულები (შემოსავლის მიხედვით, საუკეთესო 10)




დიაგრამა 3.3.3. ყველაზე გაყიდვადი ერთეულები (შემოსავლის მიხედვით, საუკეთესო 10)

3. მოგების მიხედვით (ცხრილი 3.3.4, დიაგრამა 3.3.4):

ყველაზე გაყიდვადი ერთეულები 01/04/19 - 30/04/19		
ლარში (დღგ-ს ჩათვლით)		
(საუკეთესო 10)		
კოდი	დასახელება	მოგება
2012	Iphone XR	1 164,48
5005	OnePlus 7	999,48
1027	Samsung Galaxy S10+	966,32
2008	Iphone 8 Plus	699,66
1024	Samsung Galaxy A8s	699,48
3010	Honor Magic 2	674,49
3006	Huawei P30	666,32
2011	Iphone Xs max	599,83
5004	OnePlus 6t	599,66
1008	Samsung Galaxy C7 Pro	599,32

